


რაჭიათ, ჩემო თვალის ჩინო...

რეზილიტი

№ 2 (76) 1.02.2016 - 1.03.2016 ვარ: 2 ლარი

გოვალი გამოცემა



კერძოდან მოციქული მიზანი
2015 წლის დავიცემებული პროექტები

უკანასკნელი

მოვიცახი

სოფელი საჭალი




უწინ, ამბობთ აურის რაიონის სოფელი საგორი მოხახლეობა მთიდან მარბი ჩაასახსრება. მთამი მამინ ათეულომით თქასი ღარჩა და ცხოურებაც გაგრძლება, მაგრამ შემდეგ სოფელი ნილ-ნილა დაიცალა სახლების უმჯობესობა უპავრონოდ ღარჩა. ცხოურება ადამიათთან იჩყება, როდე ადგილ-მამულების დასამუშავებლად მამაპაპისუკლ მიწებს უწეულიან, მაგრამ მუდმიუად ად, რიც ქალმაცონი ცხოურობს 80 წლის ნათელა მუცონიბე და 88 წლის უერთ ჯანელიბე. ისინი მთელი სოფლის მაცონ-პაცრონები არიან უკლიან ერთმანეთს, თავიანთ სახლ-კარს და არც ღაუცილ სახლებს აკლიმანტი მზრდებულობას. იძნებენ კი უინმერ ღამრენება გადაწყვიდვის და აძარებობის მაინც შეუწიარეთნებთ. უკლიან საფლაკებს, ღარიან სალოცავები და თავიანთი ბონაგრისათვის ლოცულობენ.

სუალინი ღლი ღრის მიში აძირ, იციან, რომ მათ შემდეგ სოფელი მთლიანად ღაიკუცება.

აი, უს არის შედი, რომელსაც სამჩუნარო მეური მაღალმთიანი რეგიონის სოფელი გაიჩიარებს.



სარჩევი

	რა შემთხვევაში დაუბრუნდება			ზოდიკო ხომასურიძე —	
	რაჭველი რაჭას?	2		სატირალში 22	
	იმედის გმირები	5		გივი სიხარულიძე	
	როდის გთვლის რაჭველი			გივი 72 26	
	თავისიანად?	6			ვეფხია გავაშელი
	ნინო რეხვიაშვილი —			ძმა და კაი ყმა 29	
	გაზაფხულა	11		შენს სუფრაზე 29	
	ლევან ფრუბაძე —			რისი პატიება შეუძლია	
	როგორ გადაარჩინეს მშობლიური			თამარ სხირტლაძეს? 30	
	სოფლის მიწები გასხვისებას და რა			ნინო რეხვიაშვილი	
	ელის წინაპართა საძვალეს 12			ნდობა 32	
	სოლომონ ტაბუცაძე			ნელი ჩხარტიშვილი. შედეგი,	
	შაჰ-აბასის უწმინდური კვალი			რომელიც აუცილებლად მოვა.... 33	
	მრავალძალში..... 16			ნინო რეხვიაშვილი	
	ვილემ მარდალეიშვილი —			ოთარ სოხაძის არჩევანი 34	
	რაჭველებისა და			ამბროლაური სრულიად	
	ოსების ამბავი	20		საქართველოს ამცნობს 36	
	ვილემ მარდალეიშვილი —			ვასილ ლობჟანიძე „ბრივის“	
	რაჭველი რაჭას შენატრის..... 21			ოფიციალური წევრი გახდა 39	
				ვარდენ მაისურაძე 40	
				მინა მაისურაძე 40	

მთავარი რედაქტორი —
ნინო რახევიაშვილი
 ტელ: 599 74 68 10
 დამფუძნებელი —
პორა გურაშვილი
 ტელ: 599 53 58 94
 კომპიუტერული უზრუნველყოფა
დალი ჯვარშვილი
 ტექსტი ააწყო
 თამარ გოგიძეამ
 მისამართი: თბილისი, ლესელიძის
 ქ. №27, მე-2ს., 790 74 68 10
 ელ-ფოსტა: nino153@mail.ru

ჟურნალი “რაჭველები” ემიგრანტ
 რაჭველებს და არა მარტო მათ,
 გთავაზობთ თანამშრომლობის პროექტს —
 გამოგვიგზავნეთ მასალები, ფოტოსურათები,
 რითაც შეძლებთ მოეფეროთ თქვენს
 მონატრებულ ქვეყანას, ოჯახებს და ამავე
 დროს მხარში დაუდგეთ ჟურნალს.

ტელ: 599 74-68-10

ძვირფასო მკითხველო!
 გაცნობეთ, რომ რედაქტორი შემოსული მსალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. რაც შეეხება
 სარეკლამო ტექსტს, მთელი პასუხისმგებლობა რეკლამის შემკვეთს ეკისრება.

ჟურნალში მასალების განთავსება ფასიანია!

მოგვირეოთ, ნანა
ცოტილში ყვავლი
იღებენ სმორის

რა გეგთხვევაში დაუგრძელება რაჭველი რაჭას?

ჩვენი მკითხველი ზურნალის წინა ნომერში კარგად გაეცნო კანონს „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“, მის არს და მინიჭებულობას რაჭის განვითარებაში.

კანონში ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ აღნიშვნული პირობები დამომრავლი პროცესის შეჩერებისაც არა მიმართული და უფრო მატიც, მისი მიზანია სტიმული მისვას მომსახულეობას — რაჭველი კაცი დაუგრძელება მჟობლიურ კუთხეს და ხელი მიჰყოს სოფლის მეურნეობის, მეცხოველეობისა და ადგილობრივი მრავალობის განვითარებას.

აღნიშვნული აოლიტიკა მიმართულია მაღალმთიან რეგიონები მცხოვრებ პირთა კათილდღობის, ცხოვრების დონის აღაღლების, დასაქმარებლისაც და ეკონომიკური და სოციალური მდგრადირების გაუმჯობესებისაკენ.

ესრთველი კაცის პუნქტიდან გამომდინარე აპარარა წიგნადადგმული ნაბიჯიც კი სასისარულო და მისასალებელია. ეს არის შემარიტად საკათილდღეო აოლიტიკა იმ ადამიანებისათვის, ვინც იქ ცხოვრობს და არსა წასვლას გეგმავს.

რაც შეეხება კანონით გათვალისწინებულ შეღავათებს, რომელიც ამოქმედდება 2016 წლის 1 იანვრიდან, მდგომარეობს შემდეგში:

- ◆ კანონის ამოქმედების შემდეგ დაბადებულ პირველ და მეორე ბავშვებ, ერთი წლის განმავლობაში ყოველთვიური 100 ლარიანი დახმარება, მესამე და შემდგომ ბავშვზე 200 ლარიანი დახმარება 2 წლის განმავლობაში;

- ◆ ხელფასის სახით მიღებული 6000 ლარამდე შემოსავალი თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისაგან სამუდამოდ;
- ◆ მენარმე ფიზიკური პირები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისაგან 10 ნლის ვადით;
- ◆ სანარმოები ქონებისა და მოგების გადასახადებისან თავისუფლდებიან 10 ნლის ვადით;
- ◆ 10 ნლის მანძილზე საშემოსავლო გადასახადისაგან გათავისუფლდებიან მთაში მუდმივად მცხოვრები პირები;
- ◆ მთაში მუდმივად მცხოვრები პირების საკუთრებაში არსებული მინის ნაკვეთი სამუდამოდ თავისუფლდება ქონების გადასახადისაგან;
- ◆ სკოლებზე და მაღალმთიან რეგიონებში მდებარე პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებზე მოხდება ვაუჩერის გაზრდა.

ხოლო 2016 წლის 1 სექტემბრიდან განსახორციელებელი პროექტები შემდეგში მდგომარეობს.

- ◆ ექიმებისათვის დანამატი სახელმწიფო პენსიის ორმაგი ოდენობით, ხოლო ექთნებისათვის - სახელმწიფო პენსიის (ერთმაგი) ოდენობით;
- ◆ სახელმწიფო პენსიაზე და სოციალური პაკეტის მიმღები პირებისათვის დანამატი 20 % ის ოდენობით;
- ◆ ზამთრის პერიოდში გათბობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა;
- ◆ სკოლის და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლებისთვის სახელფასო დანამატი არანაკლებ 35 % ის ოდენობით;

დისკუსია

◆ საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს პროგრამებში მონაწილე მასწავლებლებზე გათვალისწინებული იქნება დამატებითი ანაზღაურება ხელფასის არანაკლებ 50 % ის ოდენობით.

2017 წელს მთავრობა ელექტროენერგიის ხარჯების 50%-ის ანაზღაურებას გვპირდება.

ესნამდვილად საკუთარი და მიმართული ვექტორია.

თუ აქამდე ოჯახს შვილის შეძენისას არავითარი ფინანსური დამხარება არ ჰქონია, ახლა პირველ და მეორე ბავშვზე წელიწადში ყოველთვიურ 100 ლარიან დახმარებას მიიღებს. მესამე და შემდგომ ბავშვზე 200 ლარიან დახმარებას ორი წლის განმავლობაში. ეს მართლაც საუკეთესო გადაწყვეტილებაა. რაც ნამდვილად ნიშნავს, რომ მთავრობა საკუთარი თავზე იღებს ბავშვის ელემენტარულ ხარჯებს.

მეორე პუნქტი ითვალისწინებს შემდეგს:

6000 ლარიამდე მიღებელი წლიური შემოსავლის შემთხვევაში სამუდამოდ თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისაგან. რაც იმას ნიშნავს, რომ პირს თვიური ანაზღაურება უნდა ჰქონდეს 500 ლარი.

ეს ფაქტი მოსასმენად ძალიან კარგია, მაგრამ ადვილი დასათვლელია რაჭაში ვის და რამდენ კაცს შეიძლება ჰქონდეს ამხელა შემოსავალი? იმ დროს, როდესაც ადგილობრივი მოსახლეობა მასიურმა უმუშევრობამ მოიცვა და ხშირ შემთხვევაში ალარც ასაკი აძლევთ ამის საშუალებას.

ძალიან კარგია, რომ მეწარმე ფიზიკური პირი თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისაგან 10 წლის ვადით. საწარმოები ქონებისა და მოგების გადასახადისგან თავისუფლდებიან

ასევე 10 წლის ვადით.

ასევე უქმდება საუკეთესო არსებული მიწის ნაკვეთის ქონების გადასახადი. სკოლებსა და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებზე მოხდება ვაუჩერების გაზრდა.

ეს რაც უკვე ძალაშია. 2016 წლის I სექტემბრი-დან შეღავათი ეხება ექიმებს, - სახელმწიფო პენსია მიეცემათ ორმაგი ოდენობით, ხოლო ექიმებს ერთმაგი ოდენობით.

პენსიონერებსა და სოციალური პაკეტის მფლობელთ დანამატი ექნებათ 20%-ის ოდენობით.

ზამთრის პერიოდში გათბობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა - (უმჯობესი იყო მეტი კონკრეტიკა)!

პედაგოგების სახელფასო დანამატი იქნება 35%-ის ოდენობით. სამინისტროს პრიგრამებში მონაწილე მასწავლებლების დანამატი კი 50%-ის ოდენობით გაიზრდება.

ეს ყველაფერი საუკეთესოა, მაგრამ რატომ მაცირს ამ პირობებში ვლების, სოფლად მაცხოვრებელი ადამიანის კეთილდღეობის დანახვა. პირი, რომელიც არ არის მასწავლებელი, ექიმი, მეწარმე, ის კვლავ შეჭირვებული რჩება.

რაც შეეხება ამ პრიგრამაზე დაყრდნობით ადამიანების სოფლად მიბრუნებას, მაპატიეთ, მაგრამ ვერც აქ ვხედავ ლოგიკას. ვლები კვლავ გაჭირვებულია! მას სხვა ხელშეწყობა სჭირდება. ცხადია, ყველა მეწარმე ვერ გახდება. აქ ალბათ სხვა პუნქტებიც იყო გასათვალისწინებელი!

ამ თემაზე დისკუსია ვითიქრებული იქნებოდა. მით უფრო, ბატონმა რეზო ბერაძემ დამირება და მითხვა, იქნება აღნიშნულ საკუთხზე აზრი რამდენიმე თვის გადასახადის გადაწყვეტილებით.

36ასოთ, 306 რას ფიდარობს აანონე, რომელიც ჩვენი
კუთხისთვის არის გათვალისწინებული.

რეზო (ქუჩი) სხირობა

ეს ისეთი მიღვომა, რომ ამით ვუწოდდავ არამისნე. კუჩმა რეზუში ღაბრუნებაზე რომ ითიქონოს, საამისორ მთავრობამ ყედა აიღოს პასუხისმგებლობა მისივე სახეობის შეკუთხების შესახებ. შეყდინოს 3-4 წლით პირველი, ავტომობილი „ნიკა“. გაუფორმოს ხერ-შეკუთხება იმ პირობების გათვარისწინებით, რომ გრანტი არ მოისახოს პროექტისა, ეს იქნება რისის ნაწილი თუ სხვადასხვა სახის ბოსტნეული, ხორმ წინასწარი შეთანხმების საფუძველზე აღნიშნულ კადებში მიზიდულ ფინანსურის თუ სახელმწიფო და ხელსაყრდნულ ფასად შეისყიდოს აღნიშნული ნაწილი. გრანტი არ ყედა ითიქონოს იმაზე, თუ სად რა როგორ გაყიდოს წის მოხავა?

დისკუსია

ქარაჯირან ნახევრ ოქანებს 1-2 წელი ნამდვირად ხუმრებია ხელშეწყობა, შემდეგ ის თვალი მიხედავს თვალს.

ამასთანეული, მინდა გითხოვთ, რომ პატიმრები, რომდენებიც შემთხვევით მოხვდები ციხეში და არ არის საშიში სახოგავოებისთვის, საუკუთხო გამოხატვისა თუ მათ ღავსახრებით მარადმთან ზონაში თვალის ოქანთან ერთად, შეკუძენით მცირები მცირებიანი და აღირებული მოვახდებით სახელის, მის მიერ ნარმოლებული პროცესის ნაწილი თვალი ღარისების და ნაწილი სახელმწიფოს ხაზისამ შეიხიდოს.

რაც შეუხება დავინიუბის, თვალი ღარისებოს მთავრობამ მათთვის მრავალსართულიანი სახელების მშენებრიობას. უპრინანი იქნება მათი სახელების მარადმთან ზონაში. აქც იგივე, ხარმებო პირობების გათვალისწინებით. 100 ოქანირან ორი მაინც იქნება თანახმა და ავარ თუ კარგად ხოთვები მართვას ამოიხსნეთებს.

კანონი, რომელიც ახალსანს მიიღო საქართველოს პარტამენტმა ძალას კარგია, აქმდე უსუს ხომ არ იყო? ყვაოლ წინ გარდამაცი ნაბიჭია, მაგრამ უს კარგია იქ მასტერისტების აღმიანების გარეული ნაწილისთვის მხრივო! უს არ არის გრობარყო ხელშეწყობა.

ახული აუკირუბენის მარადმთან ხოთვებში ცალიჩმის განვითარება.
ნინავომდეგ შემთხვევაში ქარაჯირან კაცი სარიტუ კურსზე გაბრუნებულია.

31 ვაკები გავაშელი

უს კანონი ძალას ზერაპირებულია. მთის ხარხისთვის ფურცელოვანი კურსთველს იმუშავებენ. არათერის მომსახურის უს ყოველი მინისი, რაც ამ კანონის მიხედვის აქვს, რომ დამოუკრძალული პროცესი შეაჩეროს და ქარაჯირან მიიჩიდოს ხარხი, ამ კანონის შემთხვევაში მიყრიცხავის.

კარგი, ოქანმა გააჩინა 1 შეირი, 2, 3... ხუს ხომ შეირებს არ გააჩინს. ამ კიდევ ორი წელის შემდეგ უნდა ბავშვებ ხელშეწყობა ხელშეწყობა, რაც ხოთვებობს სახელმწიფო პერსონალურ ინიციატივის მარტივი კარგია, მაგრამ უს არ არის მნიშვნელოვანი თანხა.

პერსონალური რომელ გაბრუნებული მთაში, მან რა უნდა კუთოს, მაგრების კარგი კურსი კურსის უყოფა?

ახალგაზრდობა იხევ და იხევ უნდა შეოდენობა რჩება.

უფრო მისამართ იმაზე, რომ გაუსათ უპროცესები ხეხხი 10 წელის კადით, ხარხი ხუს მოითქმავის და გარეული დოკომენტების შემდეგ სახელმწიფოს კადის გარეული დოკომენტები. ჩვენთან იხეთი პირობების 10 წელისაში კრების ათმაგრება.

ახალ რომ ამ პროცესი სამდგროს კურსთველს უხერხმა.

ოზბეგ ფოფხაძე:

დღეის მდგრადი მოწოდებით ძალას კარგია, მაგრამ ჩემი ხელი ხარხი ბავშვებს ხომ კურს გააჩინება. რომ კავშოვ იქ თავს ვინჩენ, თბილისში ურთი დღის კურსთველი, მაგრამ ასა როგორ? 20% პერსონის მარტივი ხაზების კურსულების.

მე და ჩემნაირებს არ გვინდა, თვალი გაგვანებონ, ახალგაზრდებს შეუწყობს ხელი, დასაქმონ პირული რიგში, რეალური საქმე გამოს და ოქანების ნაწილი ითვილებს გაბრუნებაზე, ხუს მცირე მიგრაცია რომ შეაჩერება, უს რამხევა ამბავია? ხოთვებში კაცი კურსზე, რომ ხაზი გარამითველოს, უსა საქმე?!

პირობები კარგია, კაცი თუ მოინტერებს უკურაველს გაუკეთებს, მაგრამ სახელმწიფოსგან მარტო უს საკმარისი არ არის.

მასალა მოამზადა
ნინო რახვიაშვილია

“რაჭველები” № 2

ოჯახი კადრები



ანგელინა გავაშელი მოსწავლეებთან ერთად

ანგელინა გერონტის ასული გავაშელი დაიბადა 1936 წელს, ონის რაიონში, სოფ. ღებში. აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა და ამბროლაურის პედაგოგიურ ტექნიკუმს მიაშურა. ამასობაში დაოჯახდა კიდეც, მეუღლე ოთარ სოგრატის ძე გავაშელი ანგელინას ყურადღებას არ აკლებდა. ტექნიკუმის დამთავრებისთანავე ანგელინამ ღების სკოლაში დაწყებითი კლასების მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. პარალელურად ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში გააგრძელა სწავლა, სამი კურსი დახურა, სამწუხაროდ სწავლის გაგრძელება ვეღარ შეძლო, რადგან უკვე სამი შვილი ჰყავდა და ოჯახს განსაკუთრებული ყურადღება სჭირდებოდა.

ანგელინა დამსახურებული პედაგოგი იყო. მისმა ნამონაფრებმა გულწრფელი ცრემლით დაიტირეს აღმზრდელი. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან იღებდა ოჯახი სამძიმრის წერილებს. სწორედ ასეთ ქალზე შეიძლებოდა ეთქვათ: „ქალებს ამშვენებს სიტყვაძვირობა და მორთულობის უბრალოება“.

ოთარმა და ანგელინამ სამი შვილი აღზარდეს, უმაღლესი განათლება მიაღებინეს და დააოჯახეს. დღეს მათ ექვსი შვილიშვილი და ექვსი შვილთაშვილი ჰყავთ, თუმცა ოჯახის დიდი ქალბატონი ანგელინა ცოცხალი აღარ არის.

ოთარი სწუხს თავის მეუღლის გარდაცვალების გამო და სიამოვნებით იხსენებს იმ წლებს, როდესაც საოჯახო ჭაპანს ერთად ეწეოდნენ.

ოთარ გავაშელი თანასოფლელებმა 50 წლის იუბილეზე ღების ხევისბერად აღიარეს.



ოთარ გავაშელი
1975 წელი. ესენდუკი.

დონი გივალის გაჯვარი თქმისძინება?

თლულის ტრანზი

რაჭის სევდა დღეს საყოველთაოა. იცლება სოფლები. თითო-ოროლა სახლის საკვამურიდან თულა ამოდის კვამლი... აქ ის ხალხი ცხოვრობს, ვინც მამა-პაპათა საძვალეები არ მიატოვა. მათი შვილები და შვილიშვილები სარჩოს საძიებლად დიდ ქალაქებში მიმოფანტულან, ზამთრობით მოხუცებს შორიდან მოიკითხავენ (სასაყვედუროდ ენა არ მოგიბრუნდება - რაჭის მაღალმთან სოფლებში ასვლა ხომ ისეთი რთულია, თბილის მრავალჯერმოივლი), ზაფხულობით კი მთელი ჯალაბით ადიან და საქართველოს ამ ულამაზეს კუთხეს სიცოცხლე უბრუნდება. რაჭაში არ მიიძებნებოდა სოფელი, საარსებო სახსარი რომ არ ჰქონოდა. უმთავრესად მემინდვრეობას, ხენა-თესვას მისდევდნენ, შემდეგ - მევენახეობას, მესაქონლეობას, მეხილეობას, მეფუტკრეობას, მონადირეობასა და ხელოსნობას. ყველა სოფელს თავისი თავმოსაწონებელი მოხელეები ჰყავდა: ნაკიეთელები ცნობილი კალატოზები იყვნენ, უნერლები - ხე-ტყის ოსტატები, ქვემო რაჭაში განთქმული ქვისმთლელები ჰყავდათ, ფარახელ მესტვირეებს ხომ მთელ საქართველოში იცნობდნენ... სადაც არ უნდა მოხვედრილიყო რაჭველი, პატიოსნებისა და შრომისმოყვარეობის წყალობით ყველგან სიყვარულსა და პატივისცემას იხვეჭდა. საარაკოდ ქცეულიყო რაჭველების შინაგანი კულტურა, დარბაისლობა, გულუბრყვილობა და სიკეთე... დღეს კი... სადღაა ქველი რაჭა, უხვი და ხალხმრავალი, გამრჯე და მუყათი, მოცალეობის ქამს - მოქითქი, მოჯირითე, მობურთალი, მოკრივე, მოჭიდავე და მონადირე... ამდენი სიკეთის პატრონი, საკუთარ გასატევარს „უცხო ნათესავს“ სისხლის ფასად რომ არ დაუთმობდა... - ასე იყო, ბატონო, უნინ, ახლა ქვე სალა არიან, დეინრიტა სიცოცხლის ნიშატი! - შესჩივიან ერთმანეთს გიზგიზა ღუმელს მიფიცხებული მოზამთრე რაჭველები, გრძელ ზამთარში, ორიოდე ღერი შეშა დაგვეზოგოსო, ხან ერთთან რომ იყრიან თავს და ხან მეორესთან. რაო, შეშაო? როგორ გეკადრებათ, ეს მხოლოდ საბაბია. ერთმანეთთან ყოფნა სურთ, ჭირისა და ლხინის გაზიარება. შინ ხმის გამცემი რომ არავინ გყავს, რა უნდა ქნა? კაცი კაცს თუ არ დაელაპარაკა, გული თუ არ მოიფხანა, შეიძლება „ქვეც აურიოს“. რაჭველები სიდინჯით, სიდარბაისლით, თავაზიანი სიტყვა-პასუხით გამოირჩევიან. თუ ასე მოგმართეს: მანანიკა, ხათუნიკა, დათუნიკა, - უნდა მიხვდეთ, რომ თავისიანად გთვლიან. ყველუკას, პურუკას და ღვინუკას თუ არ დაუნუნებთ, სანაქებო მასპინძლობასაც გაგინევენ. საქართველოს ეს უმშვინიერესი კუთხე ოდესძაც მეღვინეობით იყო განთქმული. ახლა

რაჭული ხვანჭკარაც სანთლით არის საძებარი, თუმცა აქა-იქ ჯერ კიდევ მოიძებნებიან მოხუცები, რომელთაც მამაპაპურ ჭურ-მარანში წინაპართა წესით დაყენებული და დაძველებული ღვინის ფასი იციან. რაჭის თითქმის ყველა რჯახში სუფრის დასასრულს ყველანინდას სადღეგრძელოს სვამენ: „შეგვენიოს ყველანინდა, ხოტევი და ნიკორნმინდა, ზემო ბარი, ქვემო ბარი, ქოლოსი და მრავალძალი, აგარა და უყეში, ღმერთმა მოგვცეს ნუგეში“. ცნობილ ხალხურ სიმღერას „ნერეთელმა დაგვიბარა“ დღეს იშვიათად გაიგონებთ. ნეტავ რა დაუბარა თავადმა ნერეთელმა რაჭველებს - მინა თუ რაიმე სანუგეშო? ვინ იცის! სამაგიეროდ, იციან, რომ მსოფლიოში ყველაზე სწრაფები არიან და მეტისმეტ სიდინჯეს სულ ტყუილად აბრალებენ. რას აღარ ჰყვებიან მათზე, მაგრამ კეთილი რაჭველები ოდნავადაც არ ბრაზობენ. დინჯად გაიღიმებენ და ნათქვამს ჩირადაც არ აგდებენ ხოლმე...

ჩემი სოფელია თლული. მეც რაჭველი ვარ, ჩემო მკითხველო, თანაც როგორი რაჭველი - მისხალი სისხლი არ მირევია სხვა კუთხისა. ჩემი გვარი სოფელ თლულიდან მოდის. ცაგურიშვილები წინათ კაციტაძეები ყოფილან. ერთ თლულელს, სახელად ცაგოს, მრავალი შვილი ჰყოლია. გამვლელისთვის უკითხავთ, ვისთან მიდიხარო. ცაგურას შვილებთანო, მიუგია. ასე გამხდარა კაციტაძეების ის შტო ცაგურიშვილი. თლულში მისვლამდე ხარისთვალი, ნიკორნმინდა, ჭელიალელე და აგარა უნდა გაიაროთ. ტრიალი ხატიმინდორას შემდეგ კი ჩემი სოფელია. თლულში არასდროს მიცხოვრია, მაგრამ ყოველ ზაფხულს იქ ვატარებდი. მამის მამა, მინა ბაბუა, არ მახსოვს, ბებიაჩემი კი ცხადად შემოინახა მეხსიერებამ. მახსოვს, როგორი სიხარულით გვმასპინძლობდა და რა თვალცრემლიანი გვაცილებდა. მეგონა, ჩემს სოფელზე ბევრი რამ ვიცოდი... თურმე ვცდებოდი. ამას მაშინ მივხვდი, როცა ძირისძირობამდე ჩავწვდი მის ნარსულს... მეგონა დასასვენებლად მივდიოდი. ვინ გაცალა - უურნალისთვის მასალის მომზადება დამავალეს. თლულის გარდა რაჭის სხვა სოფელებიც მოვიარე. ბევრ იქაურს შევხვდი, ბევრის ჭირი და ლხინი გავიზიარე და მათი ნაამბობი დიდი სიყვარულით მოვიტანე თქვენამდე. ჩემი სოფელი ქვემო თლულია. არის მეორე - ზემო თლულიც. მოსახლეობა ქვემო თლულში უფრო მეტია. თლული ისტორიულ წყაროებში XVIII საუკუნის მიწურულიდან იხსენიება. სოფლის ახლოს ნასოფლარია, ოლანს ვეძახით. სამეურნეო სამუშაოების დროს აქ სამარხებიც აღმოაჩინეს. „საკუთარი თვალით მინახავს ადამიანის თავის

ეს ჩემი რაჭაა

ქალები, სამეურნეო დანიშნულების ნივთები, თიხის ჭურჭელი, ისრის „პირები”, - მიამბობს აქაური სკოლის მასწავლებელი, ისტორიკოსი მალხაზ გურაბანიძე. ამავე ტერიტორიაზე მიკვლეულია აღრექრისტიანული კულტურის ნიშნები - ბრინჯაოს ბალთა ხარისა და მზის გამოსახულებებით. სოფელი საქმაოდ მოზრდილი ყოფილა. მაღლობზე ეკლესიაც მდგარა. დროთა განმავლობაში ხალხს მიუტოვებია ეს ადგილი და დაბლობში გადმოსახლებულა - იქ, სადაც ახლა ქვემო თლულია. ნაეკლესიერს ახლა მუხნარი ფარავს, თუმცა მაინც კარგად სჩანს ეკლესის ნანგრევი და გალავნის ნაშთები. მოშორებით, დღევანდელი შაორის წყალსაცავის პირას, სამონასტრო კომპლექსი ყოფილა. ამ მონასტრებს ვახუშტი „მეფეთა განსაცხრომ ადგილს“ უწოდებს. გადმოცემის თანახმად, იქ ისვენებდა ქართლ-კახეთის მეფე თეიომურაზ I.

1928 წელს შაორის პირას ჭიჭინაძების ხუთ კომლს უცხოვრია. ერთ-ერთს ბუხრის მოსაპირეთებლად მონასტრის ჩუქურთმიანი ქვები გამოუყენებია. 60-იან წლებში ეს ოჯახი ქვემო თლულში გადმოსახლებულა. ის მოწუქურთმებული ქვები დღეს ქუთაისის მხარეთმცოდნების მუზეუმშია დაცული. მიმდებარე ტერიტორიას ნასაჯვარევი ჰქვია. შესაძლოა, იმიტომ, რომ აქ ოდესაც ჯვრის ნიში იდგა. ამ ადგილს ნამოცხვარევსაც (ნაცხოვრებს) ეძახიან. სოფლის მკვიდრს, ვახტანგ ჭიჭინაძეს, ხენის დროს გუთანზე საეკლესო ნივთები ნამოსდებია, რომლებიც შემდეგ უგზო-უკვლოდ დაკარგულა. ზემო თლულში წინათ ტეხისის წმინდა გიორგის სახელობის ტაძართან არსებული სამრევლო სკოლა ყოფილა. ხუთი წლის წინ პედაგოგებმა მისი 125 წლის იუბილე აღნიშნეს. ქვემო თლულში უფრო მეტად ჭიჭინაძები, ქემოკლიძეები, კაციტაძეები ცხოვრობენ. შემდეგ მოდიან კბილაძეები, გოცირიძეები, გურაბანიძეები, ცაგურიშვილები, ქევანიშვილები, გოგასაძეები, ციმაკურიძეები, მიქაუტაძეები, დონაძეები, გურგენიძეები, კობახიძეები, მესხები, სოფრომაძეები, კალატოზები... სოფელში სულ 32 გვარია. ზემო თლულში უმთავრესად კობახიძეები, გურგენიძეები, როინიშვილები, ჩიხლაძეები, კერქელიძეები, გურაბანიძეები ცხოვრობენ. გოცირიძეები და ციმაკურიძეები აზნაურები ყოფილან. გურაბანიძეებს XVI საუკუნის წერილობითი წყაროები ნიკორწმინდის ტაძრის საეკლესით გვარად იხსენიებს. თლულში ყველა გვარს თავისი მეტსახელი აქვს. ჭიჭინაძებს ჭუკიებს და კვარკვალიტებს ეძახიან, ქემოკლიძეებს - კრუტუნიებს, კაციტაძეებს - ჭაპუნიებს, კბილაძეებს - კვინტრიშებს, დონაძეებს - სერსერებს, ცაგურიშვილებს - კულას (კულა სურის მსგავსი ღვინის ჭურჭელია, ოლონდ უყურო). „მამაჩემის ბაბუა, ზაქარია, ხელოსანი იყო. მისგან ვიცი, რომ ეს სახელი გვერქვა“, - მიამბობს ჩემიმოგვარე ჯოტობიძია, სოფელში ცოცხალ ენციკლოპედიას რომ უწოდებენ. გალმაუბნელ ცაგურიშვილებს ვორექიებსაც ეძახიან. ვინმე ამირან ცაგურიშვილი სამეგრელოში ერთ ოჯახს

სწვევია. ჭიჭინაძე მისულს მასპინძელმა გამოსახა თურმე, ნამუ რექო? - რომელი ხარო? ამირან ორექო, გასძახა მან. მას მერე შეურქმევიათ ამ შტოსთვის ორექიები.

სკოლა

თლულს წინათ სკოლაც ჰქონდა, ფოსტაც, ბიბლიო-თეატრი და კინოც. მიწისძვრამ ყველაფერი ნანგრევებად აქცია. ძველი სკოლა მიწისძვრამ დაანგრია. სანაცვლოდ ისეთი ააგეს, იტყვი, თვალი მომცა და მაყურებინაო, მაგრამ რად გინდა - მოწაფეები წლიდან წლამდე ცოტავდებიან. ასე თუ გაგრძელდა, მალე კედლებილა დარჩება... პირველ კლასში წელს სამი ბავშვი შემოდის, მეორეში - ორი, მესამეში - ერთი, მეოთხეში - ოთხი, მეხუთეში - ექვსი, მეექვსეში - ორი, მეშვიდეში - ოთხი, მერვეში - ოთხი, მეცხრეში - ოთხი... საშუალო განათლებას ნიკორწმინდისა და ამბროლაურის სკოლებში იღებენ. ამხელა გზას ზამთარ-ზაფხულ ბავშვები ფეხით გადიან. ზამთრობით გაკვეთილები ხშირად ცდება. ევროპული მოდელი, რომელიც სკოლების გამსხვილებას გულისხმობს, კარგს არაფერს მოიტანსო, ფიქრობენ მაღალმთიან სოფლებში, სადაც მიმოსვლას ორი-სამი დღე სჭირდება... ეს კიდევ უფრო შეუწყობს ხელს სოფლის მიგრაციას.

ამ სოფელში ტბა უხსოვარი დროიდან ყოფილა. მწერებით შეწუხებულ მოსახლეობას არაერთხელ უცდია მისი ამოშრობა. სოფელ სხვავაში, თამარ დედოფლისეულსასახლეში, კვარაციხესრომუნდებენ, უამრავი ძველი ნივთი ყოფილა შემორჩენილი. ვიღაც უცხოელებს ზოგი დაუმტკრევიათ, ზოგიც თან წარმოადგინება, ზარბაზნები კი თლულის ტბაში ჩაუყრიათ. ახლა ტბა აღარ არის, მაგრამ ამ ადგილს ძველი სახელნოდება შემორჩა. გადმოცემა აქაურ პედაგოგს ქალბატონ ქეთო მესხს ჩაუწერია.

სატირიზმორა

თლულსა და აგარას შორის ულამაზესი ნაძვნარია - ხატიმინდორა. გადმოცემის თანახმად, აქ ღვთის-მგმობელებს სინმინდეები დაუწვავთ. ეს თქმულება ამბროლაურის რაიონულ გაზეთშიც დაისტუდდა. რამდენიმე კომუნისტის მღვდელ ივანე ჭიჭინაძისთვის აუკიდებიათ, რაც ეკლესიაში ხატები იყო და თავს ზემოთ შემართული წმინდა გიორგის ხატით სოფლის განაპირას მდებარე მინდვრისკენ წაუყვანიათ. შემდეგ ფიჩხი მოუზიდავთ და კოცონი დაუნთიათ... ტკაცანით იწვოდა ხატები. ხალხმა თვალებზე აიფარა ხელი - ამ ღვთის რისხვას, არ შევხედოთ ათესიტები კი იდგნენ უვნებელი და მომლიმარნი. მას შემდეგ შეერქვა ამ ადგილს ხატიმინდორა. არსებობს მეორე გადმოცემაც, როგორც სჩანს, უფრო სარწმუნო:

ხატების დაწვა 1923 წელს მოხდა, მინდორს კი ეს სახელი ძველთაგანვე ერქვაო, უთქვამს სოფლის მკვიდრს, პედაგოგს, ან განსვენებულ გრიშა გოცირიძეს. მის ხელნაწერებში ვკითხულობთ: „მე და

ეს ჩემი რაჭა

ჩემი ამხანაგები 1914-1915 წლებში დავიარებოდით თლულიდან ჭელიალელის სკოლაში და [მინდორს] მაშინაც ეს სახელი ერქვა. მოხუცებისგან გამიგონია, რომ ამ ადგილზე აგარისა და უყეშის ხალხი მართავდა საეკლესიო ცერემონიალებს. მაგალითად, გვალვა რომ დადგებოდა, ხატებით გამოდიოდნენ ამ მინდორზე, კლავდენებ შესანირს და ლოცულობდნენ: აღარ გვინდა გორახიო, ღმერთო, მოგვეც ტალახიო".

შაორი

შაორს სამი მხრიდან ტყე აკრაეს. აქ ოდესალაც ვრცელი მინდორი ყოფილა, რომელსაც სათიპად და საძოვრად იყენებდნენ. 25 წლინადზე მეტია, მისი ნაწილი ხელოვნურ ტბას უკავია. აქაური მხარის ტოპონიმიების მკვლევარის მიხეილ ალავიძის ცნობით, ჰიდრონიმ შაორის მნიშვნელობა ჯერჯერობით უცნობია. შესაძლოა, ეს ფშა ორს ნიშნავდეს. ფშა მდინარის ტოტია. მდინარე შაორს სათავეში ორი მთავარი შენაკადი ქმნის. ალბათ აქედან წარმოდგა მისი სახელიც.

ჩიკვაიძის ბალი სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ტყის პირას, ნაძვნარ-ფიჭვნარი ადგილია, რომელსაც აქაურები ჩიკვაიძის ბალს უწოდებენ. თვალი ჩიკვაიძე ქუთაისელი ინუინერი, თვითნასწავლი აგრონომი ყოფილა. ფილტვების ავადმყოფობა დამართია და ექიმებს ნაძვნარში ცხოვრება ურჩევიათ. უპოვია ასეთი ადგილი, დაუდგამს სახლი, გაუშენებია ბალ-ბოსტანი და... რამდენიმე წლის შემდეგ განკურნებული დაბრუნებულა ქუთაისში, მის ნასახლარს კი ჩიკვაიძის ბალი შერქმევია.

წულუკიძის სასახლე

თავად წულიკიძეს ხონში უცხოვრია, საზაფხულო აგარაკი კი თლულში ჰქონია. მის სასახლეში ახლა თლულის სკოლაა. თლულს შაორის მხრიდან აკრავს სალხინო (ჭიჭინაძეების ძეველი უბანი), სადაც, ვახუშტი ბატონიშვილის თქმით, ყოფილა „საზაფხულო სასახლე აწინდელთა მეფეთა“, ადგილი მშვენიერი, „კეთილაგარაკოვანი“. გადმოცემით, როცა თამარ მეფე რაჭის ერისთავ კახაბერთან იზრდებოდა ბარაკონში, თლულში ხშირად ამოჰყავდათ.

წყაროები

ზემო თლულში ძალიან ცივი წყაროა ხორეულა. ამბობენ, წყალი ხურხულით რომ გადმოდის, ეს სახელიც იმიტომ შეერქვაო. ქვემო თლულში, ქემოკლიძეების უბანში, სიპი ქვიდან კამეამა წყარო მოედინება. კბილაძეებისა და ცაგურიშვილების უბანში საჭიის წყალი დის. ნეკერჩალსა და ნიგუბას გარდა სხვა წყაროებიც არის. სოფელი ძირითადად ჩოლაგის წყლით მარაგდება, რომელიც რაჭის ქედის, საწალიკის, ფერდობის ძირში მოედინება.

დავით ბაბუას ნაამპობი

სოფელში ყველაზე მხცოვანი დათიკო მესხია. დათიკო ბაბუამ 90 წელს გადააბიჯა, მაგრამ სიტყვა-პასუხითა და აზროვნებით ბარე ორ ახალგაზრდას ჩამოიტოვებს უკან. ეს არის, ფეხების ტკივილს უჩივის და ისე ხშირად ვეღარ გამოდის სანახობზე. არადა, ისეთი მოყოლა იცის, სმენით ვერ გაძლები. სტუმრობის მიზეზი რომ გავუმხილე, თავპატიური როდი გამოიდა; ჩინებულადაც მიმასპინძლა და უამრავი ამბავიც გაიხსენა. დათიკო მესხი, თავად მეტყევე-ინჟინერი, საბოლოოდ სოფელში დამკვიდრდა. სწორედ მისი მეუღლე გახლდათ პედაგოგი ქეთო მესხი, რომელმაც სოფელ თლულის შესახებ უამრავ ისტორიულ მასალას მიაკვლია. ჰყავს ორი ვაჟი. ერთი თბილისში ცხოვრობს, მეორე კი სოფელს და მოხუც მამას ვერ ტოვებს. დახვენილი ქართულით მოსაუბრე დათიკო ბაბუა, ჩემს ნათქვამს კარგად რომ ვერ გაიგებდა, ჩამეკითხებოდა ხოლმე: „ბატონი, შეილო?“ საუბარში ეკლესია ვახსენე თუ არა, მითხრა: ნაზიარები ვარ და დღესაც მახსოვს იმ ტებილი კვერის გემო, ზიარებისას რომ იძლევიანო. რა სუფთა კაცი ბრძანდებით-მეთქი, აღმომხდა უნებლიერ ამის გამგონეს... - ოთხი წლის ვიყავი, წვეროსნებმა მამაჩემი სახლიდან რომ გაიყვანეს... მას შემდეგ აღარ მინახავს. ფოტოსურათიც არ დამრჩენია. მამაჩემის მამასოთხიძმა ჰყავს. მათგან გვარის გამგრძელებელი მხოლოდ ბაბუაჩემს დარჩა. ერთი, აღექსი, უშვილო ყოფილა. წერა-კითხვა მთელ სოფელში მხოლოდ მას და სეით ჭიჭინაძეს სცოდნიათ. ონის რაიონის სოფელ ბარიდან ვართ წამოსული. თლული რომ გაშენდა, აქ მაშინ გადმოვსახლებულვართ. ჩემი ანგარიშით, 1700 წელი იქნებოდა. თლულელებს ქველხუმელებს გვეძახდნენ. ცოტას მევიხულიგნებდით ახალგაზრდები. ქეიფიც ვიცოდით, დღეობაც... ქურდობა და ყაჩალობა სად იყო! 1920-იან წლებში, შიმშილობისას, ბეღელი გაგვიძარცვეს, ისიც - სხვასოფლელებმა. თლულელების მთავარი დღეობა ტეხისობა იყო, წმინდა გიორგის ტაძრის დღესასწაული (ტეხისა ზემო თლულშია - თ.ც.). ამ დღეს დაპატიუება არ იცოდნენ. ყველა ოჯახი თავისი



ეს ჩემი რაჭაა

სამზადისით იყო გართული. ტეხისის სალოცავის დიდი შიში და მონიწება ჰქონიათ აქაურებს. ერთი გლეხისთვის ურემი მოუპარავთ. ქურდი ვერ უპოვიათ. - ეს გლეხი მერე ქვე წევიდა ეკლესიაზე და ხატზე გადასცა ქურდი, - მიამბობს დათიკო ბაბუა, - თან შეთხოვა ხატს, რაც ძალა გაქ, დემეხმარე და ჩემი ურემი გოუტანეო. ხალხი შეშინდა. ქურდმა ურემი მიუტანა. ამის მერე დამნაშავეებს აქ ტეხდენყე... ტაძარი მოქმედი მახსოვეს. ოვალური სახურავი ჰქონდა, ზოგან - შეკუთხული, დაქანებული. მახსოვს ჩიუქურთმები და მოხატულობაც. ტაძრის სამრეკლოდან ზარების ხმა ქვემო თლულამდე აღწევდა. მახსოვს ტაძრის ღვთისმსახური, მღვდელი სერაფიონ გურგენიძე, საშუალო ტანის, ქერათმიანი კაცი. კარგად მახსოვს მღვდელი მინა მესხიც, რომელიც ჭელიაღელის სკოლაში ქართულ ენას მასწავლიდა. მახსოვს, დედაჩემმა, ოლდამ (დგალის ქალი იყო) ტეხისაზე რომ ამიყვანა. მღვდელს ხელი გავუწოდე და მანაც ხელისგულზე დამიდო ბურის ნაქერი, რომელსაც ელოგიას ვეძახდით. მისი გემო დღესაც მახსოვს. მახსოვს, როგორ იდგა დედაჩემი ხატების წინ და ხმამაღლა ლოცულობდა. აღდგომას კომუნისტებამდე ვდღესასწაულობდით, მერე საღა იყო ეკლესია... მახსოვს, აგარის წმინდა გიორგის ტაძრიდან ხატები გამოიტანეს, დაამტკრიეს და დაწვეს. მეც ვესწრებოდი ამ ამბავს. 6-7 წლის ვიქენებოდი. ვინ გაბედავდა დაშლას... იმ დროს დაიყეტა ტეხისის ეკლესიაც და ვეღარ ავდიოდით თავისუფლად. რაც უფრო დაივიწყა ხალხმა ღმერთი, დანაშაულმაც იმატა. მაშინ, ისე მახსოვს, თითქოს დანაშაული ნაკლებად იყო. უღმერთობამ შეცვალა ხალხი. მორიცება, სინდისი, პატიოსნება აღარ არსებობს. უფროს კაცს ისე მოგატყუებენ, არც შერცხვებათ. ეკლესიურად ვერ ვცხოვრობდი, მაგრამ რაღაც ძალას ყოველთვის ვგრძნობდი. ცუდის ჩადენა მინდოდა და რაღაც მაკავებდა. პირჯვრის წერა დედამ მასწავლა. ყოველ დილას პირჯვრის წერით ვიღვიძებ... ბევრჯერ ცუდად ვყოფილვარ და გამოვსულვარ მდგომარეობიდან. მჯერა, ღმერთი მეხმარება. - დათიკო ბაბუა, დღეს როგორ ცხოვრობთ? - პენსიას ვიღებ. შვილი მეურნეობას ეწევა. კომუნისტების დროს ყველა დასაქმებული იყო, დღეს კი უმაღლესდამთავრებულები მშივრები დაეხსეტებიან... თუ ეკონომიკურად არ მოვიკეთეთ, ცოდნები ვართ. სოფლები იცლება, თოხი აღარავის უნდა. რაღაც გაკეთდეს ისეთი სოფლებში, რომ ხალხი მოიზიდონ...

მღვდელი სერაფიონ გურგენიძე

ტეხისის წმინდა გიორგის ტაძრის უკანასკნელი მოძღვარი სერაფიონ გურგენიძე ყოფილა. მისი ნათესავები დღესაც ზემო თლულში, მამა სერაფიონისულ სახლში ცხოვრობდნ. მამა სერაფიონის დაბადების თარიღს ვერსად მივაკვლიე. მხოლოდ ის დავადგინე, რომ 1944 წელს გარდაცვლილა. მისი განსასვენებელი ტაძართან არის. მოკრძალებული სამარეა დიდი ჯვრისგამოსახულებიანი ქვით.

ყველაზე მოულოდნელი ის იყო, უუშუნა დეიდამ (ის მამა სერაფიონს რძლად ეკუთვნის) ამ წმინდა კაცის ხელშენახები წიგნები და საეკლესიო ნივთები რომ გადმომილაგა. ერთ სქელტანიან წიგნს ასეთი წარნერა ამეობს: „ესე მარხვანი კუთვნილ არს სოფლის თლულის წმინდა გიორგის ეკლესისა, ჩყნა წელსა“, - უკანასკნელ გვერდზე კი წერია: „ვკითხულობდი ამ მარხვანს მელქისედევა იოვაკიმის ქე გურგენიძე. სამეორი კვირა და კიდევყა კარგათ ვისწავლე დეოდორობის საკითხავები. გურგენიძე მელქისედევა, 1881 წელსა, იანვარს“. შედარებით მომცრო, თუმცა საკმაოდ სქელტანიანი წიგნი „დავითინია“. როგორც ჩანს, თავის დროზე განუახლებიათ. უკანასკნელ გვერდზე თარიღად 1873 წელი უზის და ასეთი წარნერა: „ღმერთო, იხსენ თალაკვაძე, ღმერთო, იხსენ. ეს დავითი ეკუთვნის მღვდელ იოვაკიმ გურგენიძეს“. ჯვარცმის გამოსახულებით შემკული შავი გარეკანი უამთასვლას გაუცრეცია. აქვე მელქისედევაის მონაფის ვასილ გურგენიძის ნაქონი უამნი. კვერცხის ფორმის ვერცხლის სანაწილის დანახვაზე გავოგნდი (შენდობას ვითხოვ მის ხელისხლებისთვის!). სანაწილეში ვერცხლის პატარა კოვზი დევს. ხელით ნაკეთი კოვზის ტარს ჯვრის ფორმა აქვს. ეს კოვზი თურმე სნეულთა საზიარებლად დაპქონდა მამა სერაფიონს. ხის ლამაზად გამშვენებულ ყუთში, შუშის ორ პატარა ქილაში, სანათლავი მირონის წვეთები ჩარჩენილა. გვერდით გაცრეცილი ღრუბელი უდევს... უუშუნა დეიდამ ცოტა რამ მიამბო მამა სერაფიონის შესახებ:

„სასულიერო პირების შთამომავალი იყო. მამამისიც ტეხისის წმინდა გიორგის ტაძარში მსახურობდა. ერთი ძმა, სილოვანი, დიაკვანი ყოფილა, სამი დანარჩენი სამხედრო სამსახურში მდგარა. მღვდელი სერაფიონი კეთილი კაცი იყო. ომის დროს ყველა გაჭირვებულს ეხმარებოდა. დიდი მეურნეობის პატრონს არავისთვის დაზარებია ხელის გამართვა. მისი მეუღლე პელაგიაც კეთილშობილებით გამორჩეული ქალი ყოფილა. მამა სერაფიონს შვილები არ დარჩენია. ცოლის დისწული უშვილებია, მაგრამ გიორგის გურგენიძის გვარი არ მიუღია, როინიშვილის გვარზე დარჩენილა.



მოგვიანებით მამა სერაფიონმა კიდევ ერთი ვაჟი იშვილა - ძმის, სილოგანის შვილი პლატონი. პლატონ გურგენიძე და გიორგი როინიშვილი ერთ სახლში ცხოვრობდნენ. გიორგის ხუთი შვილი დარჩა: ოთხი ვაჟი და ერთი ქალიშვილი, პლატონს - ოთხი: სამი ქალი და ორი ვაჟი. სასულიერო პირთა დევნის დროს მამა სერაფიონი ერთ აქურს დაუჭერია და წვერი მოუპარსავს. წვერგაპარსულს მორიდებია ხალხის და სახლში ჩაკეტილა". ტაძრის დახურვისას მამა სერაფიონს მოუხერხებია და საეკლესიო სიწმინდენი, განადგურებისაგან რომ ეხსნა, სახლში ჩამოუტანია. ოჯახის წევრების დიდი სურვილია, ალდგეს ტეხისის სალოცავი, რის შემდეგაც სახლში დაუჯებულ სიწმინდებს ტაძარს დაუბრუნებენ.

ივანე ჭიჭინაძე

ქვემო თლულელი მღვდელი ივანე ჭიჭინაძე, ოჯახის წევრების გადმოცემით, სოფელ აგარის წმინდა გიორგის ტაძარში მსახურობდა და იქვეა დაკრძალული. ივანეს სამი ძმა ჰყოლია: სეითი, კოსტა და ერმალო. სეითი განათლებული კაცი ყოფილა, ჩინებული ხელი ჰქონია და საბუთებს სოფელში მას აწერინებდნენ. კოსტას აგარის ტაძარში დაიკვნად უმსახურია. - მამაჩემი ვიქტორი იტყოდა, - ჩვენი გვარი სამღვდელო გვარიაო. მახსოვს სასულიერო ლიტერატურა, ჩვენს ოჯახში რომ ინახებოდა. მახსოვს ხავერდის ნაჭერში გახვეული ავგაროზიც, რომლის განადგურებაც ნდომებია მამა ივანეს ძმისწულის ცოლს ეკლესის დევნისას. მერე ეს ავგაროზი ჩვენ წამოვიდეთ. ხატების სახლში ჩამოკიდებაც საშიში იყო. ბელელში, სიმინდისა და ლობიოს ქვეშ ვმალავდით, ბოლოს ტილოში გახვეული თაროზე შემოვდეთ. ახლა ეს ხატები ჩვენს ოჯახშია. ჩემი შვილები ასმათი, ეთერი და მაია კოპახიძები მორწმუნები არიან და ყველა საეკლესიო წესს ასრულებენ.

ერთი დიდი ხატი ბიცოლაჩემს და მის რძალს მამა ივანეს სახლიდან ეზოში გამოუტანიათ, წყალთან ახლოს დაუდვიათ და თვითონ სახლში შებრუნებულან. რისთვის გამოიტანეს ან ვისთვის უნდა მიეცათ, არ ვიცი... წამოსაღებად მიბრუნებულებს ხატი აღარ დახვედრიათ. ეზოშიც არავინ შესულა უცხო...

ჯოთო პიძიას ნაამპორი

„ჩვენს სოფელში მშრომელი, წესიერი და წამუსიანი ხალხი ცხოვრობდა. ერთმანეთს არასდოდებით არ მოატყუებდნენ. ჩაცმულობაც გამორჩეული ჰქონდათ. გაჭირვების დროს შალის

ძაფისგან გვიქსოვდნენ სამოსს. ფეხზე ქალამნები გვეცვა. დაიხეოდა თუ არა, საქონლის ტყავის საფენს ჩავუდებდით... ესეც დიდი ფუფუნება იყო. კალოში ხომ დიდად თავმოსაწონებელი გახლდათ. ზამთარში თოვლზე ჭრელ ნაკვალევს ტოვებდა და ვისაც არ ენახა, უკვირდა. მოხუც ქალებს ორი კაბა ეცვათ. შიგნითაზე ჯიბე ეკერათ და ბავშვებისთვის ტკბილეული და ხილი ეწყოთ. ქალი სოფელში უთავსაფროდ არ გავლიდა. ეს მოკრძალების ნიშანი იყო. დღეს ვერ გაიგებ, ვის რა აცვია... იყო დრო, საათი მთელ სოფელში ერთადერთ კაცს - სასო ცაგურიშვილს ჰქონდა. დროის გასაგებად მასთან მივდიოდით. ძველად ჩვენი ოჯახი სალოცავად ტეხისში დადიოდა... კომუნისტობისას სასულიერო პირს პატივს არ სცემდნენ. დღეს ხალხი ისევ შემობრუნდა ეკლესისკენ. მე 74 წლისა მოვინათლე. ჩვენს სოფელში უმთავრესად მეურნეობას ეწევიან. თუ ხელი არ გავანძრიეთ, პენსია რას გვეყოფა... წელს კი მოუსავლიანი წელიწადია და შრომა ალბათ სულ წყალში ჩაგვეყრება..." ჩვენი ოჯახის რძალი, ნანა კანთელაძე, უკვე ოცი წელიწადია თლულში ცხოვრობს. 36 წლისაა, მაგრამ გამოცდილება დიდი აქვს. მძიმე სამუშაოს არ თაკილობს, თუმცა... - სოფელი დიდად შემოსავლიანი არ არის. ჩვენი მოწეული წლიდან წლამდე არ გვყოფის - ხომ იცით, ოჯახს რამდენირამ სჭირდება. ჩვენს სოფელს გარშემო ტყე აკრას, მაგრამ რამდენიმე წელია, შეშას ვყიდულობთ. ერთი მანქანა 300 ლარი ლირს... სოფლის დატოვება მაინც არ გვინდა. გვიყვარს ჩვენი კუთხე. მოხუცები ჩვენს იმედად არიან. ვისაც მონაგარი არ ჰყავს, მათზე ახალგაზრდები ვზრუნავთ. ერთმანეთს ვანუგეშებთ, ჭირიც და ლხინიც საერთო გვაქვს. სითბო და სიყვარულიც თუ მოიშალა, რაღა დაგვრჩება? თუ სახელმწიფომ ცოტათი მაინც არ მოგვხედა, ვინც დავრჩით სოფლად, ისინიც დავიფანტებით. ზამთარში „ოჩხობიას“ ვაწყობთ ახალგაზრდები, ხან ერთან ვიკრიბებით, ხან მეორესთან და თავს ასე ვიქცევთ. შინიდან მიგვაქს ნიგოზი, ვხდით ზეთს და პურის ფქვილისგან ფაფას ვხარშავთ, თითო ჭიქა ღვინით ვადღეგრძელებთ ჩვენს სოფელს, წინაპრებს, ჩვენი შეკრების საბაბს. ასეთივე მიმოსვლა გვაქვს შობას. ჩვენი დღე ღმერთის დიდებით იწყება და მთავრდება. დავდივართ ეკლესიაშიც, მაგრამ ზამთრობით შეუძლებელია ამხელა გზის ფეხით გავლა... ღმერთმა დალოცოს ჩვენი მოძღვრები - უანგაროდ გვემსახურებიან და გულგატებილ მოზამთრე რაჭველებს გვანუგეშებენ. რას ვიზამთ, ასეთია ჩვენი ყოფა...

ვინც დაგვარული არ გვინდა დაგვრჩება? დავდივართ ეკლესიაშიც, მაგრამ ზამთრობით შეუძლებელია ამხელა გზის ფეხით გავლა... ღმერთმა დალოცოს ჩვენი მოძღვრები - უანგაროდ გვემსახურებიან და გულგატებილ მოზამთრე რაჭველებს გვანუგეშებენ. რას ვიზამთ, ასეთია ჩვენი ყოფა... თება ცაგურიშვილი



ნინო რევიუაჟილი

გაზიარებულის

გაზიაფხულის კარიბჭე ფართოდ გაიღო და ყინვისაგან დამზრალი მინა საკინძეშეხსნილ გულმკერდს ძალუმად უშვერს უკვე ძალაუფლება აღჭურვილ ცხრათვალა მზეს, იღნავ ამოწვერილი ბალახი ყინვისაგან დაღლილ დედამინას, მწვანე ხასხასა ფარდაგით მოსავს. ახლად მოფრენილი მერცხლები ჯარასავით დატრიალებენ რომ ახალი ბუდე აიშენონ და ჭიკჭიკით აყრუებენ არემარეს. იები და ენძელები ამ ყოველივეს ეშხსა და ლაზათს ჰმატებენ. ყინულის არტახებისგან თავდაღწეული მდინარეები თავისუფლების ჰიმნს მოიძერიან და სიხარულის ცრემლებს შეხეფებად აქეთ-იქეთ აფრქევენ.

ბუნებას მეჯლისი გაუმართავს. გოგონა, რომელსაც შემდგომში გაზიაფხულა დაარქვეს, სწორედ გაზიაფხულის ლიბრეტოს ერთერთი პერიფრაზია. სითბოსა და ალერში გაზრდილი გაზიაფხულა დღითიდლე მშვენდებოდა, ლამაზდებოდა. ქათინაურები არასდროს აკლდა. დედა მუდამ ზღაპრების ნიგნს უკითხავდა. რატომდაც კონკია მოსწონდა. ღელავდა, კონკიას ბედს განიცდიდა. რა იცოდა, რომ უკვე ზრდასრულ ასაკში მასაც კონკიას სავალ გზაზე, სადღაც შორს დედოფლის გვირგვინი ელოდა.


არც ობოლი იყო და არც ფინანსურად შეჭირვებული. თითქოს ყველაფერი ჰქონდა, მაგრამ რეალურად სიცარიელეს დაეტვივებინა. ოცნება არასდროს ჰყვარებია. არადა რამდენი რამ უნდოდა, არც პრეტენზია გამოუთქვამს იდესმე. ასევა

და მორჩა, ეტყოდა ხოლმე საკუთარ თავს და ბედს შეგუებული ცხოვრების ჭაპანს ეწეოდა. ნირნამხდარი, დაჩაგრული, გამორჩეული აღნაგობითა და გონიერებით არარსებული სიმაღლისაკენ მიიღო ცოდნა და ცარიელ სივრცეში შორს ვარდისფერ ხაზებს ჭვრეტდა. ამ დროს მხოლოდ სინანული, ღიმილი ეფინებოდა სახეზე, ესეც კიდევ ერთი მოჩვენება, ჩაილაპარაკებდა და კვლავ თავის ქურქში ეხვეოდა.

გავიდა დრო. გაზიაფხულამ წლების გარკვეული ნუსხა სკივრში მწყობრისად განალაგა და უეცრად მოულოდნელობის ქარცეცხლში გაეხვია. ნუთუ ყოველივე ეს ჩემს თავს უნდა მოხდეს? ფიქრობს გაზიაფხულა და ბედისგან გაუთვალისწინებელ მოულოდნელ საჩუქარს თვალცრემლიანი ეპოტინება, თითქოს ხელს ჰყიდებს და ამ დროს ხელიდან უვარდება.

ეს სადედოფლო გვირგვინია. უფალმა გაზიაფხულასათვის დედოფლის გვირგვინი გაიმეტა და სამოთხის ბაღში დაუდო ბინა. მას შემდეგ გაზიაფხულას ცხოვრება სრულიად შეიცვალა, ბუნებამ არ უღალატა, ხასიათი არ გაუფუჭა, არ გათამამდა, პირიქით, თითქოს თავს მოხვეული ბედნეირების არ სჯერა, თვალზე სულ ცრემლი ადგას და მუდამ ღმერთის სამადლობელს ღალადებს.

გაზიაფხულა დღეს დედოფალია, ნატვრა, რომელიც არასდროს გაუბედავს ბედ-იღბალმა ხელის გულზე დადებული მიართვა და ცხოვრების სიტკბო არგუნა. ამაზე იტყვიან „ობლის კვე-რი ცხვა, ცხვა და გვიან გამოცხვაო“.



როგორ გადაარჩინეს მშომლითი სოფლის მიწები გასცევის მას და რა ელის წინაპართა საძუალებს

სხირტლაძეები ერთ-ერთი მძლავრი და მრავალრიცხოვანი გვარია. 1997 წლის მონაცემებით მათი რაოდენობა 2573-ია. ამათგან 1220 თბილისში ცხოვრობს, 284 საჩხერეში, ხოლო 170 ჭიათურაში. ნიშანდობლივია, რომ სხირტლაძეების მშობლიური მხარე რაჭაა და ამჟამად იქ იმდენად მცირერიცხოვანი არიან, მოცემულ აღრიცხვაშიც არ მოხვდნენ. ამისტორიული გვარის ადგილის დედა, ფუძე, ბუდესოფელი მრავალძია, რომელსაც ბოლშევიკებმა მთისკალთა უწოდეს. აგრესიული ათეიზმით შეპყრობილი საბჭოთა ხელისუფლება სოფლების ქრისტიანულ სახელებს ვერ ეგუებოდა და კომუნისტური მყვირალა სახელებით ცვლიდა. მრავალძალელებს აშკარად გაუმართლათ, მთისკალთა კარგად შერჩეული სახელი გამოდგა, მრავალძლის ალსანიშნავად დღესაც იხსენიება და ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში ამ დასახელებითაა შეტანილი.

მრავალძალი მაღალმთიანი სოფელია, თითქმის სუბალპურ ზოლში მდებარეობს, ზღვის დონიდან 1840 მეტრზე. ღრმაააზროვანი, ქრისტიანული სახელი მრავალძალი სოფელს წმინდა გიორგის სახელის ეკლესიდან ენოდა, რომელიც XI საუკუნეშია აშენებული. საქართველოს მასშტაბით თვალსაჩინო და მრავალძალიანი ტაძარია, იმდენად მრავალძალიანი, რომ გადმოცემით დასავლეთ საქართველოში მოლაპქრე ჯალალედინი და შაპაბასი დაუმარცხებია, რის დამადასტურებელ ნიშნად ეკლესიაში ჯალალ-ედინის მუზარადი

და შაპ-აბასის ხმალი ინახებოდა. მრავალძლის წმინდა გიორგის ტაძარს სხვა მრავალ სასწაულს მიაწერენ. ქართველთა საშველად თურმე წმინდა გიორგი ზეციდან მრავალძალში ჩამოდიოდა და მტრის შესამუსრად ფიცისკაცთა ლაშქარს აქედან მიუძღვიდა. ამ დიდებულ ტაძარს ახლაც ბევრი მავედრებელი ჰყავს და უამრავ მორწმუნეს ანიჭებს შვებას. ხალხში შემონახული ლეგენდით აქ მონასტერი ღვთისკაცებს – სხირტლაძეებს დაუფუძნებიათ, ჯერ მახლობლად ჭოლევში, მერე უფლის ნებით და კურთხევით, სოფლის თავზე მდებარე კონცხზე. სხირტლაძეები დღემდე რჩებიან მრავალძლის წმინდა გიორგის ეკლესის ღვთისკაცებად და მსახურებად, რაც დიდად ემაყებათ. 28 აგვისტოს, მარიამობის დღესასწაულზე, ყოველი ჭეშმარიტი სხირტლაძე, სადაც არ უნდა იყოს, მშობლიურ სოფელში უსათუოდ ჩადის, სალოცავზე სანთელ-განატეხს გაიტანს, საქვეყნო და საგვარეულო სიწმინდეებს ეთაყვანება, წინაპართა საფლავებს მოილოცავს და მოუვლის, რითაც ორთავ სოფელს ანუ მარადისობას შორის ქარიზმატულ კავშირს ინარჩუნებს.

მრავალძალი ოდითგანვე ხალხმრავალი და სვებედნიერი სოფელი გახლდათ, ვეებე-რთელა გასატევარით და ადგილ-მამულით თავმოწონებული. სახნავ-სათესი, სათიბ-საძოვარი შემოგარენში არ აკლდათ, ხოლო მევენახეობას, ვინაიდან მაღალმთიანობის გამო ადგილზე ვაზი არ ხარობდა, მოშორებით, რიონისპირა სოფელ



**ლეგენდის მიხედვით
სხირტლაძეები დღემდე რჩებიან
მრავალძლის წმინდა გიორგის
ეკლესიის ღვთისკაცებად და
მსახურებად**

ხიმშში ეწეოდნენ, ყურძენს იქვე მარნებში – „ბარისახლებში“ წურავდნენ, ტკბილი კოლოტებით და ცალებით მრავალძალში აპქონდათ და იქ კეთილმონყობილ მარნებში დიდებულ ღვინოს აყენებდნენ, რომელსაც „ხიმშურს“ უწოდებდნენ და „ხვანჭკარას“ აჯიბრებდნენ. საქართველოსათვის უხსოვარი დროიდან დამახასიათებელი მთიელთა მევენახეობა-მელვინეობის ეს სახე მრავალძალმა დღემდე შეინარჩუნა. სხირტლაძეები ხიმშში მამაპაპურ ვენახებს ვერ ელევიან და ცდილობენ შთამომავლობას შეუნარჩუნონ, მიუხედავად იმისა, რომ „მოზამთრეები“, ანუ მუდმივი მცხოვრებლები მრავალძალში ოთხი თუ ხუთი კომლიდა დარჩა. აქ დასაბამიდან ოდენ ორი გვარი ცხოვრობდა – სხირტლაძეები და იობაშვილები, სხირტლაძეთა რიცხობრივი უპირატესობით. სხვა გვარი იქ ვერ ხეირობდა და ხარობდა. თვით სხირტლაძეების ქალიშვილები სხვა გვარს მრავალძალში ზედიძედაც არ უშვებდნენ, თხოვდებოდნენ და მშობლიურ სოფელს გულისტკივილით ტოვებდნენ, მაგრამ მამაპაპურ ფუძესთან სისხლხორცეულ კავშირს არ წყვეტდნენ, ყოველ ზაფხულს მრავალძალში ატარებდნენ და შვილებსაც იქ აფრთიანებდნენ – ჯანსაღ ჰაერზე, მთის რომანტიკით აღსავსე სამყაროში. ამის ცოცხალი მოწმე ამ სტრიქონების ავტორია...

მრავალძალს მრავალი ლირსეული მამულიშვილი გაუზრდია. მარტო სიმონ სხირტლაძე რად ლირს – განთქმული თამადა, მეცნიერი, მწერალი, უბადლო პედაგოგი, ოქროპირი და მთელი საქართველოს მოძღვართ-მოძღვარი...

ახლახანს (2010 წლის 9 ნოემბერს) მივაბარეთ

მიწას სიმონის ძმა შოთა სხირტლაძე, ღვინისა და გამაგრილებელი სასმელების ცნობილი სპეციალისტი, ფანატიკურად შეყვარებული საქართველოზე, ქართულ ლიტერატურასა და საკუთარ ძმაზე, მან ჩვეული ქველმოქმედებით, დღედაღამ შრომით, XX ს-ის 90-იან კრიზისულ წლებში შეუძლებელი შეძლო და მშობლიურ მრავალძალში მამაპაპური ისტორიული სახლი, სადაც იმერეთის ეპისკოპოსი, სულმნათი გაბრიელი ხშირად სტუმრობდა, სახლ-მუზეუმად აქცია. ექსპოზიცია არა მარტო სიმონს და მის შთამომავლობას ეძლვნება, არამედ სხირტლაძეთა მთელ გვარს და ძველთა-ძველ სამონასტრო სოფელს – მრავალძალს. ეს მუზეუმი წმინდა გიორგის ტაძრის შემდეგ, მრავალძლელთა წმინდა ადგილია და ამ კულტურულ-საგანმანათლებლო ახალმა კერამ, რასაკვირველია, ტაძართან ერთად, მრავალძალი უნდა გადაარჩინოს, კვლავ ხალხმრავალი და სვებედნიერი გახადოს. ვიმედოვნებ, ეს კულტურული მონაპოვარი მრავალძლის აღორძინების ნიშანსვეტი გახდება. სოფლის მოედანზე შოთამ უბელო ცხენის ნატურალური ზომის ქანდაკება დადგა, თავისი ხარჯითდა ესკიზით შექმნილი. იგი მეორე მსოფლიო ომის დროს მრავალძლიდან ფრონტზე განვეული და უკან აღარ დაპრუნებული ერთ-ერთი იორლა ცხენის განსახიერებაა. ცხენი ხომ მრავალძალელთა და შემერელთათვის წმინდა ცხოველია, მზისკენ ლტოლვის და მარადიული სიცოცხლის სიმბოლი.

ქართველ მოჭიდავეთა შორის გოგი სხირტლაძე განსაკუთრებული მოვლენა იყო. რომელი ერთი ჩამოვთვალო, საქართველოს ღირსეული მამული-

ვარ თუ ვინმე მოვიდეს და...

შვილები – სხირტლაძეები მიწყივ თვალსაჩინონი იყვნენ და არიან, ბუნებრივია, თითოეული მათგანის დასახელება შორს წაგვიყვანს...

მიუხედავად შთამომავლობითი ერთგულებისა, საკუთარი მართლაც მშვენიერი სოფლის განსაციფრებელი სიყვარულისა, XXI საუკუნის კვირაძალზე მრავალძალი ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დგას.

კრიზისი საბჭოთა ხელისუფლების წლებში დაიწყო. ღვთის გმობამ და კერძო საკუთრების უარყოფამ მწარე ნაყოფი გამოიღო, საქართველოს მთიანეთი მოერდვა. მიგრაციის შეუქცევადი პროცესი საბჭოთა ხელისუფლების დამხობის შემდეგაც გაგრძელდა. ოცნებიანმა დამოუკიდებლობამ ბოლშევიკური მმართველობის დროს ნარმობობილი სიძნელეები არათუ დაძლია, არამედ უფრო გააღრმავა. ქართველი ერის მრავალათასწლოვანი ტრადიციული სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობის, საკუთრებისა და დაცვის მამაპაპური სისტემის გაუთვალისწინებლობამ, მკვიდრი მოსახლეობისათვის საშიში ვითარება შექმნა. მოქმედია გრარული რეფორმითმიწათმოქმედი მიწას წყდება. მიწის გაუცხოება საგანგაშო, შეუქცევად სახეს იღებს. მიმდინარე პროცესების მეცნიერული ანალიზის ნაცვლად, სამამულო მეცნიერების სრული უარყოფითი დილეტანტიზმის ზეობაა. საქართველოს მიწა-წყალი, აუქციონის წესით იყიდება. და აი, მრავალძლის ჯერიც დადგა. მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზაციის რაჭა-ლეჩუმიერეთის სამსარეო სამმართველომ, ონის მუნიციპალიტეტის შესაბამისმა კომისიამ, 2009 წლის 27 ოქტომბერს ონის მუნიციპალიტეტის შენობაში სოფელ მრავალძლის მიწა-წყალი საჯარო ვაჭრობისათვის გასაყიდ დახლზე დადო...

საქართველოს სოფელს დღეს არავითარი თვითმმართველობა არ გააჩნია, ის გეოგრაფიულ ცნებად აქციეს და პატრონი, გულშემატყივარი აღარ ჰყავს.

მიწის აუქციონის წესით გაყიდვის მოქმედ კანონში არის ასეთი მუხლი: აუქციონის გამოცხადების დროს მამაპაპური მიწების პირველშესყიდვის უფლება სოფლის მკვიდრ მოსახლეობას აქვს. საქართველოს მთიანეთის სოფლების უმეტესობა იმდენად მცირერიცხოვანია, კომლები იმდენად ღატაკები არიან, შთამომავლობით გადმოცემული მიწისაყიდლადარავითარისახსარიარმოეპოვებათ. თან სოფელი გათითოებულია, სრულ ანარქიაშია და ჯერჯერობით რაიმე ორგანიზებული სახე

ვერ მიიღო. აქედან გამომდინარე, საქართველოს მთიანეთი აგონიაშია და სიკვდილ-სოციცხოლის ზღვარზე მისული. ამ ეროვნულ საფრთხეს თუ დღეს არ გავაცნობიერებთ, ხვალ გვიან იქნება!

როცა მრავალძლის გაყიდვის ჯერი დადგა, ერთადერთი სხირტლაძეთა საგვარეულო კავშირი აღმოჩნდა, რომელსაც ეს მოვლენა ეტკინა და თბილისში მცხოვრები სხირტლაძები ფეხზე დადგნენ, ძირითადად ახალგაზრდობა. სრულიად საქართველოს საგვარეულოთა კავშირს – „გვარი და გვარიშვილიბას“ მიაკითხეს, სამების ტაძარში რამდენჯერმე შეიკრიბნენ და მტკიცედ გადაწყვიტეს, რომ მშობლიური სოფლის მიწის არცერთი მტკაველი სხვისთვის არ დაეთმოთ...

მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო, ყველას გასაკვირად, რომ არავინ ელოდა, ონის მუნიციპალიტეტის შენობაში, მრავალძლის გაყიდვის აუქციონზე გამოცხადნენ: ხათუნა ჯიმის ასული სხირტლაძე – სხირტლაძეთა საგვარეულო კავშირის წინამძღვრი, გამგეობის წევრები: თემურ, დათუნა, ლაშა და შალვა სხირტლაძეები. ვაჭრობა დიდხანს არ გაგრძელებულა, სხირტლაძეების საგვარეულო კავშირმა 3200 ლარად იყიდა შთამომავლობით საკუთარი, მამაპაპური მიწები, რატომდაც სახელმწიფოს მიერ ჩამორთმეული.

**გაიკითხათ და გაარჩიოთ – გარე ვანეხები
რომ გეოდესტი, გათ ვინ მოვააზრონა.
არცართო გოჯი მონა არ უნდა დათმოთ,
თორეა მონაგარი, შთამომავლობა
გაგაჩვენებით, ლევართი არ გააზიობთ!**

„სოსევას“ და „ხიხამთის“ სანახებს ამიერიდან გადამთიელები, შეიხები, ჩინელები, ბეგები და ბეგთა ბეგები ვეღარ დაეპატრონებიან. სულ 425 ჰექტარი შეიძინეს. საჭირო თანხა თბილისში მცხოვრებმა სხირტლაძების 80 ოჯახმა შეაგროვა. ლუკმა გაყვეს, ჩასაცმელ-დასახურავი მოიკლეს, დასვენებასა და მკურნალობაზე უარი თქვეს და წინაპართა სისხლით და ოფლით გაულენთილი, ძვლებით მოკირნულული მშობლიური წმინდა მიწა ვიღაც ვიგინდარებს არ დაუთმეს.

ბედის ირონიაა, რომ მიწების შესყიდვას 3200 ლარი დასჭირდა, ხოლო ამბროლაურში – სამსარეო ცენტრში მოქმედმა კერძო ფირმამ აზომვითი სამუშაოებისათვის სხირტლაძეებს 4800 ლარი გადაახდევინა... ვერ გეტყვით სადაური სამართალია, მაგრამ ფაქტი ფაქტიად რჩება... სხირტლაძეებმა ცხრა პირი ტყავი გაიძვრეს

ვაი თუ ვინმე მოვიდეს და...

და სულზე უტკბესი სოფელი არავის დაუთმეს. წელს მიწისძვრით განადგურებული ტაძრის აღდგენა-რესტავრაციაც დამთავრდა, სასაფლაოც მოაწესრიგეს და მარიამობაც შესაფერისად იზიემეს. მიუხედავად იმისა, რომ თბილისადან ონში ჩასვლა ერთ კაცს 20 ლარი უჯდება. ხოლო ონიდან მრავალძალში ასვლა სამჯერ ამდენი...

მიუხედავად ამისა, სხირტლაძეებმა ყველა დაბრკოლება გადალახეს და მომავალი თაობების წინაშევალი პირნათლად მოიხადეს, რის შედეგადაც, მრავალძალში მათი მოდგმა მიწყვივ იქნება.

ლმერთმა ხელი მოგიმართოთ, სხირტლაძეებო!

ბარაქალა თქვენს შემართებას და თავდადებას!

სწორედ სხირტლაძეებზეა ნათქვამი სულმნათი პოეტის რაფიელ ერისთავის უკვდავი სტრიქონები:

არ გაჟველი სალსა კლდეებსა

უკვდავებისა წეზედა,

არ გაჟველი მე ჩემს სამშობლოს,

სხვა ქვევნის სამოთხეზედა.

ვისაც სამშობლო უყვარს, ადგილის დედის მადლი აცხია, საკუთარ ფუძეს უნდა მიხედოს. წმინდა, მშობლიური მიწის ის მონაკვეთი არავის დაუთმოს, სადაც მისი წინაპრების და შთამომავლობის ჯერ კიდევ ცოცხალი ფესვები ფეთქავს და აღმოცენების იმედი არ ჩაქრობია. სწორედ ამ მ იზნით გაერთიანდნენ რაჭის მეორე მაღალმთიანი სოფლის უშოლთის (სოფელი შქმერი სამი სოფლისგან შედგება უშოლთა, შუა შქმერი და ხარისთვალი) გვარები დაუშვილები, გვიმრაძეები და ჭარელები. მათ სათემო კავშირი ჩამოაყალიბეს. უშოლთაში ეკლესია ააგეს და ქრისტიანულ-მართმადიდებლურ რწმენაში დაბრუნებულნი ჩამქრალი კერების ამგზნებარებას ცდილობენ. ყველა შქმერელი შქმერს რომ დაუბრუნდეს, მათ მამაპაპათა ნაამაგარში ფეხის დასადგამი მიწა არ ეყოფათ, ამიტომ ყველას გასაგონად ვამბობ – შქმერს და რაჭის არცერთ სოფელს გასაყიდი მიწა არა აქვს. ეს კარგად იცის უშოლთელების ახლადშექმნილმა სათემო კავშირმა. ლების სადროშოც, იაგო გოგონიჭიანის წინამძღოლობით, არ დაუშვებს ლებელების საარსებო მამულის გაბნევა-გაყიდვას.

გაიღვიძეთ რაჭველებო! ნიკორწმინდელებო, ხონჭიორელებო, ზედა შავრელებო, ყველა მაღალმთიანი სოფლის მცხოვრებლებო! გაიკითხეთ და გაარკვიეთ – ბარად ვენახები რომ გქონდათ, მათ ვინ მოეპატრონა. არცერთი გოჯი მიწა არ უნდა დათმოთ, თორემ მონაგარი, შთამომავლობა შეგაჩვენებთ, ღმერთი არ გაპატიებთ!

საუკუნეთა მანძილზე ყოველ ტრადიციულ ქართულ სოფელს მტკიცედ განსაზღვრული საარსებო გარემო ჰქონდა, მეზობელ დასახლებებიდან გამიჯნულ-დასამანებული. სოფელთა შორის საზორების ურყეობას თვით მეფე იცავდა. XX ს-ის 50-იან წლებში ეს ყოველივე აირია კოლმეურნეობათა ხელალებით დამსხვილება-შეერთებით. აქედან გამომდინარე, დამოუკიდებლობის პირველ წლებშივე აუცილებელი იყო სოფლის სტატუსი განსაზღვრულიყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ გაკეთდა. გაუცნობიერებელი დრო შეუბრალებელია, მდგომარეობა თანდათან უფრო რთულდება. სოფლები თავიანთ ეროვნულ სახეს კარგავენ და შეთხელებული მოსახლეობა იმ ბუნებრივ-ეკოლოგიურ გარემოს წყდება, საიდანაც უხსოვარი დროიდან საზრდოობდა და სულდგმულობდა. ერთხელ კიდევ უაღრესი გულისტკივილით უნდა აღვნიშნოთ, რომ მარჩენალი მიწა ფუნქციას კარგავს და მიწის გაუცხოება საშიშ ხასიათს იღებს. ვიდრე აგრარული რეფორმა ქართველი ერის სასარგებლოდ მოწესრიგდებოდეს, ვიდრე თაობათა შორის კავშირი არ გაწყვეტილა, ვიდრე ფუძის, ადგილის დედის მადლი არ წაშლილა, წინაპართა საფლავების ხსოვნა, სახლ-კარიბის, ეზო-მიდამოს სიყვარული არ წარხოცილა, შველა ჯერ კიდევ შეიძლება, ამიტომ მშობლიური სოფლის გადარჩენისათვის ზრუნვა საუფლო და საერო ღვანლია. ვიმედოვნებ, ჩვენი ხელისუფლება ამ ინიციატივას არა მარტო მხარს დაუჭერს, არამედ წამყვან როლს შეასრულებს... მით უმეტეს, ამ საშვილიშვილო საქმის პრაქტიკიულად გადაწყვეტისათვის საკუთარ ძალისხმევას არ იშურებს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე.

ყველა მიმართულების კოორდინაციისათვის სასურველია შეიქმნას სამეცნიერო-საკონსულტაციო სამსახური, რომელიც თითოეულ სოფელში არსებულ ვითარებას, მიმდინარე პროცესებს შეისწავლის და სამოქმედო სტრატეგიას ჩამოაყალიბებს: ილია ჭავჭავაძის და ივანე ჯავახიშვილის მოძღვრებათა ამომწურავი გათვალისწინებით, ქართველ მეცნიერ-სპეციალისტებზე დაყრდნობით ახალ, ქმედით აგრარულ კანონმდებლობას შეიმუშავებს.

საწმუნოების, სახელმწიფოს და მოსახლეობის ერთობლივი მოქმედება არსებულ კრიზისს წარმატებით დაძლევს და საქართველო მსოფლიოს ხალხთა შორიმის დანაწილებაში კუთვნილ, ღირსეულ ადგილს დაიჭირს.

ლევან ფრუიძე

შპს-ჩბასის „უწერისლური პვალი მრჩველებელი“

**სიზმინდი ნანახი თუ „ნისრაბუჟისის
ძენის-გარაფახებური“ რეგენტა შემ-ცბასისა**

70-იან წლებში რაჭაში, სოფელ მრავალძალში, სერგო იორგაშვილისაგან ერთი ლეგენდა ჩაიმონი. ზაფხულის ერთ თაკარა დღეს, მრავალძლის ცა. გიორგის ეპლესის ეზოში, მოლზა თამოსესებით და სერგო პაპუამ, შუბლზე ეუდის ჩამოვავით, გაღმა, ჭოლევის კლდისაკან გამახედა, - აი, ასე გადმოსულა შპს-აბასი და ე კლდეზე დალუავია ჯარიმ...

მოგვიანებით, სტუდენტობისას ამ ლეგენდის ვარიაციაც მივაკვლია.

კაცმა რომ თქვას, მისაკვლევიც არაფერი იყო. 1894 წელს, გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ პუბლიკაციას ხელს აწერს „ქართველი ოსებში“ - ამ ფსევდონიმით ცნობილი სასულიერო მოღვაწე ნესტორ ბაკურაძე. ეს ვარიანტი თქმულებისა უფრო სრულყოფილია: „ერთხელ, თამარის მეფობის შემდეგ, როდესაც ოსმალოს ჯარს საქართველოზედ გამოელაშერა, მრავალძალის მთასაც მოპევდოდა მისი უწმინდური ფეხი; გადმოევლოთ მთაზედ და სურდათ თურმე... მრავალძალში ჩასვლა და მისი აკლება... როდესაც ოსმალოს ჯარი დაუახლოვდა თურმე იმ სოფელს ორის ვერსის მანძილზედ, ერთხაშად დაბნელდა, ნისლ-ბურუსის ზენარი გადაეფარა იმ არე-მარეს და ჯარი ვეღარაფერს ჰქედავდა. აერიათ გზა-კვალი. დაიწყეს უგზოუკვლოდ ხეტიალი და გადაადგნენ უზარმაზარ ჭოლევის კლდეს, რომლის ძირშიც, ერთ ალაგას, ჭაობიანი ტბა არის... ჭოლევის კლდიდან რამდენიმე ჯარისკაცი გადაცვიდნენ და, რადგანაც თვალით ვეღარას ჰქედავდნენ ბევრი გადაყვნენ ერთიერთმანეთს. ბოლოს შენიშნეს, რომ ჯარისკაცი მიდიან და სადღაც სცვივიან, ერთხაშად შესდგნენ და დაუწყეს გზას ფრთხილად სინჯვა... აღარ იცოდნენ საით გამობრუნებულიყვნენ. სწორედ ღვთის განგებაა. აქ სწორედ წმ. გიორგის სალოცავი უნდა იყოს. ამ ფიქრის შემდეგ ოსმალოს ჯარმა დაიწყო ლოცვა: - დაგვიხსენ ამ განსაცდლისაგან, ვევედრებით შენს



დიდებას, დავსდებთ აღთქმას და სადამდინაც შენი ზარის ხმა მიაღწევს, იქ ჩიტსაც არ ავაფრენთო. ამ ლოცვის შემდეგ, ერთხაშად გადაიყარა ჯანღმა და მრავალძალის არე-მარესაც მოეფინა ჩვეულებრივი დღის სინათლე. ჯარისკაცთ გადიხედეს და დაინახეს ცოტა მოშორებით საყდარი... მივიღნენ ეკლესიაზედ. ერთი დღე და ღამე ამ ეკლესის გალავანში დაჰყვეს ჯარისკაცთ და შესთხოვეს: - წმ. გიორგი ძლიერო, რადგანაც გადაგვარჩინე, ამ განსაცდელს დაგვიხსენი და ეგრეთი სასწაულთ მოქმედი ხარ, ჰემინ სასწაული და ამ შენს გალავანში მოიყვანე ის ძროხა და ხარი, რომელიც იმყოფება ჩვენი ზღვის პირზედ და უფრო მეტად დაგვიმტკიცე შენი ძლიერებაო. ძროხა და ხარი გარეული ყოფილიყვნენ, საშინელი, უზარმაზარი, რომელთაც თუმცა ჰქედავდნენ, ვერავინ ბედავდა მათ დახოცვას. ამით უნდოდათ გამოეცადათ ძლიერება ხატისა. მეორე დღეს ხარი და ძროხა, მართლაც, მისულიყვნენ და ეკლესის კარებს მისდგომოდნენ. ეს ხარი და ძროხა ადვილად დაჰნებდა ჯარს დასაკლავად. მარჯვენა რქები ხარისა და ძროხისა მრავალძალის ეკლესის შესწირეს. ყანები ფერად წითელი სისხლივით არის... ყანები ბუნებით არის ასე წითელი. ეკლესიაში, როგორც ამბობენ, ოსმალოს ჯარისკაცთაგან არის შემოწირული... ჯარისკაცის ვეებერთელა რკინის ქუდი, ჩაფხუტი და ხმალი,

ფაქტი, მოვლენა, კომენტარი

რომელსაც უწოდებენ ხვარასნის ხმალს; აგრეთვე შუბი და სხვა“.

მრავალძალის საომარი საჭურვლის შესახებ „ცნობისმოყვარეთათვის საინტერესო ეპიზოდებს“ პლატონ იოსელიანის წიგნში - „დიდი მოურავის, გიორგი სააკაძის ცხოვრებაშიც“ წავაწყდით: „შაპ-აბასმა შენიშნა, ლუარსაბ მეფის ბედზე მოლაპარაკების დროს იმერეთის ელჩები გიორგი სააკაძეს წმ. გიორგის სახელითა და მისი სასწაულმოქმედი ხატით აფიცებდნენ იმერეთის დაბა მრავალძალში... ეს რომ შეიტყო, შაპმა იმერეთის დიდებულებს მდიდრულად შემკული თავისი ხმალი გადასცა და სთხოვა, ეს საჩუქარი ტაძრის კედელზე დაჰკიდეთო. გეოგრაფი ვახუშტი აღნიშნავს, რომ ხმალი მრავალძალის ეკლესიაში ჩამოჰკიდეს, როგორც შაპ-აბასის დიდი საჩუქარით და დასძენს: „არა თუ სარწმუნოებით, არამედ ჰსცნან რამეთუ ხმალი ჰკიდავს მუნ“.

ამ ცნობას ვ. პოტტოც ადასტურებს მე-19 საუკუნის ბოლოს გამოსულ თავის წიგნში „საქართველო და მისი ისტორიული წარსული დრო“, სადაც იგი წერს, რომ შაპმა იმერეთის დიდებულთ აჩუქა თავისი ძვირფასი, ოქროთი შეჭედილი ხმალი და სთხოვა, რომ ეს ხმალი, როგორც საჩუქარი, მრავალძალის წმ. გიორგის ეკლესიის კედელზედ დაეკიდათ.

პლატონ იოსელიანის წიგნის „საინტერესო ეპიზოდთაგან“ კიდევ ერთი უნდა გავიხსენოთ, რომელიც ამჯერად უკვე ერთანმინდის ტაძარს ეხება. შაპს, რომელსაც გიორგი სააკაძისგან შეუტყვია ერთანმინდის ტაძრის მნიშვნელობა ქართველი ხალხისათვის, ტაძრის დანგრევის ბრძანება გაუცია. „ჯარისკაცები ავარდნილან ტაძრის გუმბათზე და ნერევა დაუწყიათ. ქრისტიანული სალოცავის სიძულვილით გამსჭვალულ შაპ-აბასს, უეცრად მხედველობის თანდათან დასუსტება უგრძვნია. ამ მოულოდნელი ამბით შეძრნუნებულ შაპს ვერაფრით აუხსნია ყოველთვის მახვილ და უტკივარ თვალთადაკარგვა. მას დაუძინია და სიზმარში რაღაც უხილავი ძალა

უგრძვნია, რომელიც უბედურებას უქადდა. სიზმრით გალვიძებულს ვერც სიზმრის მნიშვნელობა აუხსნია.

- მე ვნახე შუბით შეიარაღებული ბუმბერაზი, - უთქვამს შაპს, - რომელიც მკერდის განგმირვით მემუქრებოდა. შაპის სიზმარი სპარსეთის სამეფო ტახტის ასტროლოგ სიზმრის ამხსნელსაც ვერ

აუხსნია. მაშინ შაპის წინაშე

წამდგარა გიორგი სააკაძის ამალაში მყოფი, ერთანმინდის მკვიდრი, თეთრნვერა მოხუცი, გაუბედავს, დაუჩინებაშაპისთვის და უთქვამს, დასუსტებული მხედველობა დაგიბრუნდება, თუ სასწაულმოქმედი ტაძრის ნგრევას შეაჩერებო. ის ბუმბერაზი, რომელიც სიზმარში გამოგცხადებია, წმინდა ესტატე არისო. შაპს შეუჩერებია ტაძრის ნგრევა, მოხუცს კი იგი მაშინვე მიუყვანია ტაძარში და უჩვენებია კედელზე დახატული წმ. ესტატე. შაპი შემკრთალა, რადგან იგი ზუსტად მიუმ-სგავსებია სიზმარში გამოც-ხადებულისათვის. დიდია,

- უთქვამს შაპს მოხუცისათვის, - თქვენი წინასწარმეტყველიო. იქვე გადაუცია ერთ-ერთი დიდებულისთვის თავისი აღმოსავლური, თვალმარ-გალიტით მოოჭვილი ხმალი. ეფესიდაბუნიკიმოუხსნევინებია და ტაძრისთვის შეუწირავს. შაპს მაშინვე დაბრუნებია მხედველობა და უხვად დაუჯილდოვებია მოხუცი ქართველი ასტროლოგი“.

მოკლედ, ქრისტიანული ტაძრებისადმი მტრისა და მომხდურის ამგვარი „მორჩილების“ მაგალითები, განსხვავებული ფორმებითა და მოტივებით, სხვა თქმულებებშიც იჩენს თავს. ფოლკლორში საყოველთაოდ გავრცელებული ჩანაცვლების პრინციპიდან გამომდინარე, მნიშვნელობა არა აქვს „შაპ-აბასი“ იქნება ქვეყნის დამაქცეველი თუ, ზოგადად, „ოსმალო“. ერთი კი ცხადია, რომ ისტორიული თქმულებებისა და ლეგენდების საძირკველი რეალურად მომხდარ მოვლენებში ისკვნება და გმირებიც, ანუ იდეის პერსონიფიკატორებიც რეალური და ისტორიულად ცნობილი არიან. ტრადიციული საზოგადოების წიაღში მომხდარი ბევრი ფაქტი და



შაპ აბასის ხმალი მრავალძალში

ფაქტი, მოვლენა, კომენტარი

მოვლენა სალეგენდო და „საარაკო“ არ გამხდარა და ეს სრულიად ბუნებრივია, ვინაიდან ხალხის მეხსიერება წარსული ცხოვრების მხოლოდ თავისებურად მნიშვნელოვან ფაქტებს გამოარჩევს ხოლმე. ამ გამორჩევის უპირველეს საფუძვლად თავისი ბედისწერული ნიშნით აღბეჭდილი მოვლენები უნდა მივიჩნიოთ.

შაჰ-აბასის სახელი, მართლაც იმდენად საბედისწეროა ქართველთა შეგნებაში, რომ იგი ზოგადად მტრის სინონიმად იქცა.

სწორედ ამ პოზიციიდან შევყურებთ მოვლენებს, როდესაც ვამბობთ, რომ ტრადიციული საზოგადოების შეგნება ობიექტურად ასახავს ისტორიულად მომხდარს. ამგვარი ასახვისას სრულიად დაწმენდილია ემოციური ნაკადი და ამიტომ არ ცდილობს ლეგენდა მტრის დამცირებულის სახით წარმოჩენას. ამასთანავე, მტრის უძლეველობის იმგვარი განაზოგადება ხდება, რომ მომავლის თვალში კიდევ უფრო ფასდება მომხდურთან შეტაკებისას დალვრილი სისხლი. ასე ხდება, საზოგადოდ, თქმულებებში, მაგრამ ჩვენს მიერ მოხმობილი ლეგენდები არც შეტაკება-შერკინებას ასახავს და არც თვალისოვის საჩინო ბატალიებს. აქ მტერთან დაპირისპირება სხვა განზომილებაში ხდება.

თვალნათლივია, მაგრამ მაინც დავაზუსტებთ, რომ საქმე გვაქვს ერთი ლეგენდის ორ ვარიანტთან. ერთგან - სიზმარი და მეორეგან - „ნისლაბურუსის ზენარი“, პოეტურად მნიშვნელოვანი ერთეულებია და უხილავ სამყაროთა მიჯნას, გინა ზღვრულ სიტუაციას აღნიშნავს. ლეგენდის ერთაწმინდულ ვარიანტში ზღვრული ვითარება ადამიანის სულის წიაღ მოიაზრება, ხოლო მრავალძალურში მტარვალის მომძლავრება თითქოს ბუნებასაც აძრწუნებს და წინ აღუდგება მომხდურს. მტრის სვლა კოსმიურ მასშტაბში მოიაზრება და სამყაროს კიდევანს არყევს, ნისლის სითეთრეში ჩაკარგული ჯარი არსებითად სიბნელეშია და ამდენად - დაბრმავებული. ეს არის „სიბეჭის“ მდგომარეობა, როდესაც ბრმა მზეს ვერ ხედავს, მაგრამ მზე ათბობს მას. ჯარი ამ მდგომარეობაშია მანამ, ვიდრე არ მიაყურადებს „ლვთის ხმას“. მომხდურს ინტუიცია არ ღალატობს. შინაგანი მობილიზების წყალობით ხვდება, რომ ეს განსაცდელია და მისგან თავის დაღწევის გზა იმ ძალის აღიარებაა, გარემოში რომ მეუფებს. აკი შეჰვედრა კიდეც „ოსმალომ“ თუ „შაჰ-აბასმა“, რის შემდეგაც ჯანღმაც გადაიყარა და ჯარმაც დღის სინათლე იხილა. ისიც აღსანიშნავია, რომ ეს არ უნდა იყოს „ჩვეულებრივი დღის სინათლე“. იგი ლოგოსის ნათელსაც უნდა

ნიშნავდეს და ლვთის გამოვლინებასაც.

ნისლეული სითეთრიდან (იგივე სიბნელიდან), „თეთრი ამინდიდან“ - როგორც პოეტი იტყვის, - თავდალწევა ხელახლა შობაა, ვიზიონერული უნარის შეძენაა. ამ უნარმა გადაარჩინა შავეთში მოხვედრილი ჯარი.

ერთაწმინდასთან დაკავშირებით სერგი მაკალათიას ნაშრომიც გასახსენებელია, სადაც იგი წერს: „ის ადგილი, სადაც ახლა ეკლესია დგას, ტყით ყოფილა დაფარული და ირმის ჯოგი თავისუფლად დადიოდა. ერთი თათარი აქ ირემზე სანადიროდ მოსულა; მას მშვილდისარი მოუმარჯვებია და ირემი ნიშანში ამოულია, მაგრამ ამ დროს ირმის რქაზე ნათელი ჯვარი გამოსახულა. ამის დანახვაზე თათარი შეშინებულა, იარაღი ხელიდან გაუგდია და უთქვამს - ქრისტე მიწამებიაო“. ესეც ისეთივე ვიზიონია, რომლის შემდეგაც მტრული და გველური ძალა საკუთარი ბუდიდან ამოვარდება, ამაღლდება თავის არსზე და დამხვდური საზოგადოების პოზიციიდან აღარც აღიქმება მტრად.

ასე ითრგუნება დევური ბუნება და აღორძინდება ადამიანური.

იმის თქმაც საგულისხმოა, რომ მტრის შემოსევები ხელს უწყობდა ადამიანთა კონსოლიდაციას და განამტკიცებდა საკრალურ შუაგულში. მრავალძალური ლეგენდის მიხედვით „აქაურ მცხოვრებთ დღესაც წმინდათ სწამთ ის აზრი, რომ ამ სოფლიდან გადასახლება საცხოვრებლად სხვა სოფელში არ შეიძლება, რადგანაც საღლოცავი დაპირიზეზავს და არ უყაბულებს სხვაგან გადასახლებასო“.

საერთო წარსულის ხსოვნის გარეშე, საზოგადოება არ იწოდება საზოგადოებად. ხსოვნა კრავს და ამთლიანებს სოციუმს. საზოგადოების სამყოფელი ტერიტორიის მოცილე მტერმაცილი ითრგუნება მის საკრალურ ველში მოხვედრით. ეს საკრალური სიცარიელე და ლანდშაფტი მოიცავს საზოგადოების სულსა და გონებას. ამიტომ ლანდშაფტის, ნიადაგის ხსოვნა არეგულირებს ადამიანთა წუთისოფლურ ყოფას.

წმინდანი (წმ. გიორგი, წმ. ესტატე) თავისი ძლიერებით გამოიხსინის მიწა-წყალს მოსალოდნელი დალუპვისაგან, მფარველობს ადამიანებს, მათს ერთობას და სამკვიდროდან გასვლას არ უყაბულებს“.

ლეგენდის ფაბულურ კონტექსტში ნათლად იგრძნობა დასაბამიერ-არქაულ მოტივთა პულ-სირება. ამ თვალსაზრისით არსებითი მნიშვნელობა აქვს თქმულებათა საგნობრივ სამყაროს. აქ ყველა ნივთი თავისი დანიშნულებითი, ფუნქციური

ფაქტი, მოვლენა, კომენტარი

ღირებულების გარდა „უცხო რამ ელვის“ დამტევიცაა. მხედველობაში მაქვს ეკლესიისადმი შენირული „რკინის ქუდი, ჩაფეხუტი და ხმალი, რომელსაც უწოდებენ ხვარასნის ხმალს“, აგრეთვე სხვა საომარი საჭურველი და ხარ-ძროხის რქები.

არქაული ცნობიერებისათვის საგანი არის არა ოდენ მოსახმარი რამ, არა ინსტრუმენტი მხოლოდ, არამედ იგი თავისი არსით აჭარბებს პრაქტიკულ დანიშნულებას. როგორც არ შეიძლება ვილაპარაკოთ თასზე, როგორც მხოლოდ სასმისზე, ასევე არ შეძლება საჭურველში მისი მხოლოდ საბრძოლო დანიშნულება დავინახოთ. ის არის მისი მფლობელის არსში წილდებული. გმირის დავლათიანობა თუ ნაწილიანობა მის საჭურველშიც ძევს. ის არის ნიშანი - მფლობელის არსის აღმნიშვნელი. ამდენად საჭურველი - ფართო გაგებითა და მნიშვნელობით - ტექსტად წარმოგვიდგება. ეს არის ტექსტი, რომელიც თავისი გრაფიკული მონახაზითა თუ ფუნქციური ელემენტებით აღაგზნებს საზოგადოების სულს და შთააგონებს თუ ჩაგონებს (სუგესტია) მას. საგულისხმოა, რომ მარკირებული ნივთები შესაბამის სულისკვეთებას ბადებს არქაულ ცნობიერებაში და იბადება ლეგენდა ურჯულო მომხდურის „მოქცევის“ შესახებ. საზოგადოება ცდილობს „ახსნას“ მიზეზი საგანთა მის თვალსაწიერში მოხვედრისა და არსებობისა. მის შეგნებაში პულისირებს კითხვა, რომელიც პასუხს მოითხოვს. პასუხი კი ლეგენდის ფორმით წარმოიშვის; ლეგენდისა, რომელიც შემდგომ გადადის თაობებში, დაიმატებს სოციალურად მუდრადნაკადსდაიმსჭვალებაეთოსით, რომელიც, თავის მხრივ, არის ერთ-ერთი გარანტი თქმულების თაობათა წიაღ გაღწევისა. ის რიტუალური ბირთვი, რომელიც ადამიანის ანთროპოლოგიურ არსში ღვივის, თქმულებაში არ გამოსჩანს, მაგრამ „გონების თვალით“ დამკირვებლისათვის შედეგიდან მიზეზის მოხელთება მაინც ხერხდება და ხორცშესხმულ ლეგენდაში წმინდა იდეის წყაროსთვალი ანუ არქეტიპი იჩენს თავს. ამიტომ, ლეგენდის საგნობრივ სამყაროზე დაკვირვების გარეშე საერთოდ ვერ ავხსნით მის არსს, ანუ ვერ გავითვალსაჩინობთ მხატვრული ტექსტის წარმოშობის მექანიზმს.

ზემოთხსენებული ნივთების ეკლესიაში მოხვედრის, ვიეთთა მიერ შენირვისა თუ ნაალაფარის მოტანის ფაქტები ხალხის მეხსიერების მიღმა რჩება. საზოგადოებამ არაფერი უწყის უცხოური წარმოშობის საომარი საჭურვლის წმინდა სალოცავში მოხვედრის თაობაზე და ამიტომაც

ამ „ინფორმაციული ვაკუუმით“ გულწყებული ადამიანების სულში ამოიფინება ლეგენდა ურჯულო მტრის დამორჩილებისა და სალოცავისათვის დაყმევებისა.

ლეგენდის დაბადება უფრო თვალსაჩინოვდება თუ ფაქტობრივ, ისტორიულ ცნობებსაც გავადევნებთ მზერას. იარაღის წარმომავლობა კი დოკუმენტურადა ცნობილი და ამდენად, ჩვენ, ტრადიციულ საზოგადოებასთან შედარებით „მომგებიან“ პოზიციაში ვიმყოფებით. ვიცით ლეგენდა და ვუწყით სინამდვილეც. სინამდვილე კი ასეთია: არც შაპ-აბასს და არც ოსმალოებს ქრისტიანული ეკლესიებისათვის არაფერი შეუწირავთ. უცხოური წარმოშობის საჭურველი თუ სხვა რამ ნივთები, სულ სხვა გზით ხვდებოდა ეკლესია-მონასტრებში. ისინი ტროფეებია უპირველესად.

თეოდ უორდანიას „ქრონიკებში“ მოტანილ ამირეჯიბთა გვაროვნული სიგელიდან ვიგებთ, რომ ქართველები ჯალალ-ედინის ჯარს „მინდორს შევებენით და ამოვსწყვიტეთ, მივართვით დროშა და თავი თავთან მაღლის სულთანისა და გვყო წყალობა და გვიბოძა ჯილდოდ რაც ვიაჯეთ... და დროშაცა (ამ ოში ნაშოვნი — თ.შ.) შევწირეთ მეხოიშნესა ჩვენსასა (ე.ი. რუსუდან მეფეს — თ.შ.) და თაჯი მრავალ ძალას“. როგორც ამ დოკუმენტური მასალიდან ჩანს, ჯალალ-ედინის თაჯი მრავალძალისთვის შეუწირავს ქუცნა ამირეჯიბს. რაიმეგვარი აღრევა რომ არ გამოიწვიოს, შევწიშნავთ, რომ თაჯი იგივე ჩალმაა. მრავალძალური ლეგენდის საჭურველში კი რკინის ჩაფხუტი ანუ მუზარადია მოხსენიებული. ამის თაობაზე საჭურველმცოდნე კოტე ჩოლოყაშვილი აღნიშნავს, რომ „ამირეჯიბი „დაღლის სულთნის“ მუზარადს თაჯს უწოდებდნენ“.

დამპყრობლის მუზარადის სალოცავში შენირვის წესი საყოველთაოდ იყო გავრცელებული. ვაჟა-ფშაველა აფხუშობის დღეობის აღწერისას ამბობს, რომ „ღაჭაურა სახალხო გმირია, რომელსაც მოუკლავს ერთი ხანი და იმის მუზარადი აფხუშოს ხატისთვის შეუწირავს. აფხუშოს დღეობისასა ამ მუზარადით დიდი და პატარა ღაჭაურას შესანდობარს სვამსო“. საგულისხმოა, რომ მუზარადი აქ თასის ფუნქციითაა ჩანაცვლებული. ნივთმა დაკარგა სრულიად კონკრეტული, საბრძოლო ფუნქცია და შეიძინა რიტუალური სტატუსი. შეიძლებოდა ასეც გვეთქვა, რომ იგი სადაგი ყოფიდან მაღალ, გინა ჭეშმარიტ რეალობამდე ამაღლდა...

სოლომონ ტაბუცაძე

ჩაჭველებისა და რსების გამაპო

როგორც იქნა, მოვიხელთე ფული და ვიფიქრე, ჩავალ ერთი უწერაში, სიდედრსაც მოვინახულებ და სიმინდსაც გავამოროდებ-მეტე.

...მიდის, მიხრივინობს დაჩამიჩებული „ლაზი“, ქსიტინებს, კვნესის...

თითქმის ცარიელია ავტობუსი —
ათიოდე მგზავრი მივუყვებით გზას
რაჭისკენ... შენ ნახავდი, ბიჭო,

ჩამოცხა ავტობუსში.

— აი, აქ გააჩერე ერთი, თუ ძმა ხარ, ამ ადგილას შევისვენოთ, — ეძახიან მძლოლს ბიჭები და ისიც მოედანზე გამართული ბაზრობის სიახლოვეს აყენებს ავტობუსს.

— აბა, ჩავედით, ჩავედით, შესაყოლებელი ვიყიდოთ რამეო, — ჩქარობენ ბიჭები.

— ჩამოპრძანდით, ჩვენი ძმა გავიცნოთ ერთმანეთი, — შემებმიანენ მეც და თან ორმოცდაათლიტრიანი „კანლისტრა“ ნელ-ნელა ჩააცურეს უკანა კარიდან.

უყურე შენ, სასმელი ჰქონიათ „კანლისტრაში“ ამ შეჩვენებულებს, — გამეღიმა გულში.

ვიყიდეთ შოთები, ყველი, ძეხვი, მწვანილი და მწვანეზე მოვალათდით. დავილოცეთ, შევსვით გზაში ნაჯანჯლარევი ღვინო პლასტმასის სასმისებით...

ვხედავთ, რამდენიმე ახალგაზრდა კაცი გვიახლოვდება, აბა, როგორ არ მოვიპატიუოთ? ოსები აღმოჩნდნენ, კვაიში მიდიოდნენ, მივაწოდეთ სასმისები.

გაგვიმარჯოსო, — ამბობს მაღალი, შავულვაშა, — მათი სახლ-კარი დაიქცეს ვინც ჩვენ ოსები და ქართველები ერთმანეთს გადაგვეიდაო, სულ პოლიტიკოსების ბრალია, ჩვენ რომ ერთმანეთის სისხლი დავღვარეთო, ღმერთმა ქნას, ჩვენი საუკუნო ძმობა აღმდგარიყოსო...

ვკოცნეთ ერთმანეთი, ავათრიეთ ავტობუსში დანაკლულებული ღვინის ჭურჭელი, კვაისამდე სულ ქართულ-ოსური სიმღერები ვჭექეთ და ასე დავცილდით ერთმანეთს.

— მანგური ჯოხაძევ, უნდა გესტუმროთ უწერაშიო, — დამანიეს ჩასულებმა.

აბა, ასეთ ურთიერთობას რაიმე სჯობს, ძმაო?

ვიღენ მარდალებიშვილი



უნინ რაჭის ავტობუსს ასე გამოცარიელებულს?

იცოცხლე, საქმე გვიანდება სოფელში, მაგრამ წასვლა-წამოსვლის სახსარი აღარ აქვს ხალხს... თითქოს არც ლირს წვალებად, მაგრამ იმ ძირისა და ფესვის, იმ მამაპაპისეული კარ-მიდამოს ძახილს რას უშვები?

მოკლედ, მივდივართ, უკანა „სიდენიაზე“ რამდენიმე კაცი მოკალათებულა, შორიახლო კი ორმოცდაათლიტრიანი „კანლისტრა“ უდგათ. მხიარული ბიჭები ჩანან — არ ელევათ სიმღერა და ანეგდოტი.

ცხინვალით მივდივართ, „ოსეთის“ ტერიტორიით. იმდენად ხიფათიანი აღარაა ეს გზა.

ჩხაზოვის ჩხაზას უაცხადის

გვიყვება და გვიყვება ქვემო რაჭის ამბებს ბონდო მიქიაშვილი, ანდა, რა მოაწყენს, უკვე რამდენიმე წელია მშობლიურ გარემოში, ამბოლაურის რაიონის სოფელ ზნაკვაში ოჯახური მდგომარეობის გამო ვეღარ ჩავიდა ჩვენი ბონდო — „ალექსანდრეს ბალის“ „პარლამენტის“ ღირსეული წევრი და კეთილშობილი რაჭველი კაცი...

მოვითქვი სული, ბიჭებორ (რაღა ბიჭებო ვართ, თვითონაც ბარე 75 წლისაა), ჰაერი გინდა, წყალი გინდა, ხილი გინდა, ყველი გინდა, ხორცი გინდა, მწვანილი გინდა... ყველაფერია — ალალი და უსაყვედურო, ოღონდ ცოტა ხელი გაანძრიოს კაცმა... „ალექსანდროულს“, დალოცვილს, ისე ასხია, ვეღარსად იტევენ, დატვირთული ტოტები იმტვრევა სიმძიმისგან...

— ე, კაცო, გადავიდეთ ზნაკვაში, რა ჯანდაბას მივჩერებივართ ამ თბილისშიო, — თვალს გვიკრავს წოპე.

— იცინე შენ, მე სექტემბრის ბოლოს


ისევ წავალ და კარგად მეყოლეთ, შობამდე აქეთ ალარ გამოვიხედავო, — არ იბნევა ბონდო და განაგრძობს: — ნეტა იცოდეთ, რამდენი ხილი ულპებათ და უფუჭდებათ იქაურებს, ააშენოს ვინმემ ამბოლაურში საკონსერვო ქარხანა, ჩააბარებს ხალხი ხილს, იყო კომუნისტების დროს საკონსერვო ქარხანა ამბოლაურში, მაგრამ დაინგრა და გავერანდა, ახლა კი ალარავინ აქცევს ყურადღებას... ერთი ასი კილო ვაშლი მაინც გადავყარე თხრილში წამოსვლის წინ...

კარგი, ახლა საქმე: თქვენ აქ დამიცადეთ, ახლავე მოვალ, რაჭიდან ჩამოტანილი შარშანდელი „ალექსანდროული“ უნდა გაგასინჯოთ...

— მაგით დაგენყო, შე კაცო! — სახე ეხსნებათ ბონდო ჩვამანიას, ირაკლისა და ზაზას, — აგაშენა ღმერთმა!

და ბონდოს ველოდებით მოუთმენლად ნეკერჩელის ძირში.

ვილენ მარდალეიგვილი



ზოლის ხომასურიძე

სეზონის შედეგი



მუდამ გაჭედილი ავტობუსი, ორმაგად იყო გადატვირთული. მძლოლი მაინც წყნარად იჯდა, რაღაც ქალალდებში იქექებოდა და მანქანის დაქოქვას არ ჩქარობდა.

— ე, ბიჭო! დაქოქე ახლა და წადი, ვერა ყუროფ მზე ამოდის!

— მოთმინების ძაფი გაუწყდა ცალ ფეხზე მდგომ, წვერგაუპარსავ კაცს.

— რავა, რო დავქოქო, მზეს გავაჩერეფ? — მხრები აყარა წვერებიანმა, უკანა კარებში ჩაჭედილმა, საზეიმოდ გამოწყობილმა, ინტელიგენტური გარეგნობის მოხუცმა.

— მეჩემიგრაფიკი მაქვ, ესავტობუსი ქელეხისთვის კი არ არის დანიშნული, — ისევ აუდელვებლად უპასუხა მძოლმა და სიგარეტს მოუკიდა.

ავტობუსი სკასავით აზუზუნდა:

— ჩვენზე გაჭირვებული ხეში მატლი არა არი, ასე წვალებით უნდა ვიაროთ იქით-აქეთ?

— კაცო, ე ავტობუსში თაგვის შემოსაძრომი ადგილი აღარ არის და ქვე რაღა გრაფიქს უყურეფ!

— ფეხსალაგში გავლა მაინც მომესწრო, რა გაძლებს ორი საათი?

— კვერცხები მაინც არ მეყიდა კაცო, ნახევარი თუ ევიტანე, კაი უნდა.

— შე კაცო, სოფელში დაბერდი და კვერცხები ქალაქიდან მიგაქ, ქათმები კი არ გყავს?

— ქათმები რავა არ მყავს, ოცზე მეტი დავზარდე, მარა სუყველა მამლები გამოდგნენ, ი დასაწყვეტები.

მანქანა დაიძრა. მგზავრები შეთქმულებივით ერთდროულად გაყუჩდნენ. ოციოდე მეტრიც არ ქონდათ გავლილი, ორი პოლიციელი დაუდგათ წინ.

— რაშია საქმე? — კაბინიდან თავი გამოყო მძლოლმა.

— ჩეჩენ ბოევიკებს დავეძებთ! — მოკლედ მოუჭრეს პოლიციელებმა.

— რას ამბობ კაცო, ჩვენ ავტობუსში მეზობელი სოფლის ხალხს არ ვაჯენთ და ქვე ჩეჩენებს შემოუშვებდით? — შეიცხადა შუა გასასვლელში ჩადგმულ ღვინის კასრზე შემოსკუპულმა ტანმორჩილმა კაცმა.

— კაი, ჰო, დაგიჯერეთმ მარა ელმეურნეობის ხალხი მაინც უნდა წაიყოლოთ როგორმე.

— მაგათ რაღა უნდათ, მთვარიდან ხომ არა არიან?

— რა მთვარიდან კაცო, გადასახადები აქვთ ამოსალები.

— აბა, მთვარის მეტი ჩვენ არაფერი გვინათებს და მაგაში თუ გვახდევინებები გადასახადს, რა ვიცი, — აქტიურობდა კასრზე შემოსკუპებული.

— მტერი გელაპარკათ თქვენ. თუ კაცი ხარ წადი, ფრთხილად იარე, ეს ხალხი არსად გადაყარო, — მძლოლს წასვლის ხება დართო პილიციელმა. მანქანა გაჭირვებით დაიძრა და კარბურატორის ცხიკინით

გაუდგა გზას.

— ვანო! მა ლვინოს კი არ გაგვასინჯეფ? — შეეკითხა წვერებიანი, კასრზე შემომჯდარს.

— მაგაზე უარს რავა გეტყვით, ამისთანა კაი ხალხს, მარა ზევიდან სხვისი ლვინო მისხია, — არც ჩაფიქრებულა, ისე უპასუხა ტანმორჩილმა.

— ისე, რბილად მაინც დაგვეფინა რამე მაგ ბიოჩაზე, დეგუნაყება ყველაფერი სოფელში ასვლამდე!

— მაგის დარდი ნუ გაქ, დაბამბული შარვალი მაცვია, — ისევ მომზადებული შეხვდა ტანმორჩილი.

ცოტა ხნით დუმილი ჩამოვარდა.

— მამა, რათაგაქმაგდენიჭალარა? — მოულოდნელი შეკითხვა დაუსვა ნინა სკამზე მჯდომ კაცს, კალთაში მჯდომმა ბიჭუნამ, მამა ცოტა ხანს ჩაფიქრდა და დამრიგებლური ტონით აუხსნა: — არაფერს რო არ მიჯერებ, რო არ სწავლობ და სულ მამაძალლობაზე გიჭირავს თვალი, იმიტომ გამითეთრდა თმები.

— საწყალი ბებიაჩემი, ქე არ მოგიკლავს? — დაუფიქრებლად მიახალა ბიჭუნამ.

ავტობუსი სიცილმა შეაზანზარა.

— მამა, კამფეტი მინდააა! — მოულოდნელად ატირდა მეორე მგზავრის კალთაში მჯდომი, პირველ ბიჭუნაზე უფრო პატარა ბაეშვი.

— რა დროს კამფეტია ბიჭო, ადრე ვერ მითხარი, სანამ ძირს ვიყავით?

— კამფეტი მინდააა! უფრო ხმამაღლა აღრიალდა ბიჭუნა.

— არიქა, გაჩუმდი თუ არა, დაგახეთქე კვახივით! — მოთმინებიდან გამოვიდა კაცი, — კვახი მინდააა! — უფრო ხმამაღლა აღრიალდა შვილი.

— ე, ბიჭო! აგერ მაქ ორი ცალი კამფეტი, პირის გასასველებლათ ჩავიდე ჯიბეში. მიეცი და გააჩუმე, — მიაწოდა გვერდით მჯდომმა კამფეტი. ზოგმა ვაშლი ამოაძვრინა ჯიბიდან, ზოგმა ნიგოზი და ბიჭუნამ ენერგიულად აამუშავა ყბები.

ავტობუსი აღმართს შეუყვა. ზამთრის პირი, უფრო სწორად, გვიანი შემოდგომა იყო. ტყე წითელ-ყვითლად აფერადებულიყო.

— გრიშა, ყუროფ, რავა გაყვითლებულა ე ცაცხვის ფოთოლი? ახლა, რაც აი დიდ ხეს ასხია, ოქროთ რო გააქცია, ქე არ გავეკეთდებოდი? — ბეჭი მიარტყა თეთრწვერა მოხუცმა გვერდით მჯდომ, ნახევრად ჩაძინებულ მგზავრს. გრიშამ გამოიფიზლა, გვერდით მჯდომს მიუბრუნდა და სინანულით უთხრა: — მაგის ბედი ქვე ვინ მოგვცა, ჩემო ლეო, მარა, მართლა რო აგისრულდეს და ე ფოთლები ოქროებად რო გადაიცეს, ნახევარს კი არ გამიყოფ?

ლეომ გაკვირვებით ახედ-დახედა გრიშას და

სერიოზულად გაბრაზებულმა მიახალა: — შე კაცო, მე რო არ მთხოვო ოროს გაყოფა, ხეები მეტირა არი? მიდი და შენც ქვე ინატრე, — გრიშამ კამათის გაგრძელება უაზროდ ჩათვალა, ხელი ჩაიქნია, თვალები მიხუჭა და თვლემა გააგრძელა.

— მაგათიდედა ვატირე, მაგათი! — მოულოდნელად იყვირა ლეომ, — გრიშა ისევ გამოფხიზლდა.

— ვის აგინებ კაცო?

— ვის და ბეღურებს.

— ბეღურებთან რაღა გინდა, კაცო?

— რავა რა მინდა, პურის მარცვალის დაყრას ვერ ვასწრებ ქათმებისათვის. ჩამოფრინდებიან ხეებიდან, ნახევარს შეუჭამენ, შემოსხდებიან ისევ ახლომახლო და დაიწყებენ უივ-უივ-უივ, უივ-უივ-იომ-უივიომაო!


— შენც ადექი და სიმინდის მარცვლეული დაუყარე, იმას ხომ ველარ აკენკავენ.

— სიმინდი ძეირია ნამეტანი.

— დღეს რაღაცა ვერ ხარ ხასიათზე ლეო, გლახა ფეხზე ხარ ამდგარი, გეტყობა.

— გლახა ხასიათზე ვარ, აპა, რა იქნება, ელვათი გაუგზავნე ი ჩემ ძმას დეპეშა, იმის დასახვედრად ვიყავი ჩამოსული, მარა მაინ ცარიელი ჩამოვიდა.

— ადრესი დაწერა უნდა სწორათ, ჩემო ლეო, თუ



არა, ელვათი კი არა, თუ გინდა ბრუხუნით გაგზავნე, მაინც ვერ მიიღებს, — ულავშებში ჩაილიმა გრიშამ. ლეომ ალმაცერად გახედა გვერდით მჯდომს.

— კაცო, რითი მოკვდა ეს ჩვენი ბიბო, მთლად ბებერი კი არ იყო მაინცდამაინც, — ხმის ამოღება აღარ აცალა გრიშამ.

— ბედითი რო იყო ყოველთვინ. ხეზე ასულა შეში მოსაჭრელად, ტოტი მოუტყდა და ჩამოვარდა.

— საწყალი, ინდაურის წონა იყო და ტოტი რაფერ მოუტყდა?

— ხო გითხარი, დაბდური იყო. საბძლი კიბეზე ძლიერ ადიოდა და ხეზე რამ აიყვანა?

— კაი ახლა, მიცვალებულზე გლახა ლაპარაკი, მაინც არ შეიძლება.

— შენ რა გენალვლება, სანამ მოკვდებოდა 30 ლარი ვასესხე და ახლა ვიღას მოვთხოვო?

— შენც ადექი, შესაწვარს ნულარ მიიტან და გასტუმრებული გეყოლება. ჯერ ჯვარი გენეროს და კაი ხნის მერე რო მოკვდები, იქ მაინც გაგისნორებს ვალს, — ისედაც უხასიათოდ მყოფ ლეოს, გრიშას ნათქვამი ეწყინა, მაგრამ პასუხის გაცემა ვეღარ მოასწრო. ავტობუსი სოფლის ცენტრში შეთუხეთუხდა და მოწყვეტით გაჩერდა.

ავტობუსიდან ჩამოცლილი მგზავრების ერთი ნაწილი თავის სახლებისკენ გაუდგა გზას. ნაწილმა კი, ან გარდაცვლილი ბიბოს სახლს მიაშურა. ეზოში უამრავ ხალხს მოეყარა თავი, სახელდახელოდ მოწყობილ ფანჩატურში გაჭიმულ სუფრაზე, განაფული ხელით აწყობდნენ პურმარილს მისახმარებლად მისული გასათხოვარი გოგოები და ახალგაზრდა რძლები. სახლის გვერდით ჩადგმული ფარდულიდან, ლურჯი კვამლი ამოდიოდა. დახურულ კარს მიღმა, შეზარხოშებული მზარეულების და მათი მოხალისე დამხმარების ყაყანი ისმოდა.

ავტობუსით მოსული ჭირისუფლების ჯგუფი, ერთ მწკრივად დაეწყო. ნინ ქალები მიდიოდნენ, უკან სახედამწუხრებული მამაკაცები. მიცვალებული მეორე სართულის დიდ სასტუმრო დარბაზში ესვენა, რომელსაც ბიბოს გარდაცვალებამდე, ძირითადად, ხილის შესანახად იყენებდნენ. კედლების გასწრივ სკამები ჩამოწკრივებინათ. კედელზე ჩამოკიდებული შავი ბარხატის ფარდასთან, ბიბოს პირველი ცოლისგან დარჩენილი ქალიშვილები და სიბერეში მოყვანილი მეორე ცოლიც ისხდნენ და რიგრიგობით დაატარებდნენ ხოლმე მიცვალებულს, რაც მისი განვლილი ცხოვრებიდან გაახსენდებოდათ. ქალაქიდან ამოსულმა ჭირისულებმა სასვენებელში ჩაწვენილი ბიბო ძლივსდა იცნეს, მუდამ სამუშაო ტანსაცმელში ჩაცმული, ახლა, ახალთახალ, უხმარ კოსტიუმში, თეთრ პერანგში და შავ ლაკის ტუფლებში გამოწევილი, სუფთად გაპარსული და დავარცხნილი იწვა თავისთვის.

უცხო ხალხის დანახვაზე, ბიბოს თანამეცხოვრებ ახალი მონოლოგი წამოიწყო:

— ბიბოოო... სიცოცხლეშიც დაფასებული კაცი იყავი და ახლაც რავა გაფასებს ხალხი, გაახილე თვალები და დეინახე, რავარი საპატიო სტუმრები მევიდნენ შენს დასაფასებლად, — ბიბოს მეორე ცოლი იმერელი იყო, — რავა გიყვარდა შე უბედურო სტუმრები და ქეიფი, იმათაც რავა უყვარდათ იმერეთიდან მოტანილი ღვინო. ვინდა უმასპინძლებს ახლა იმათ შენ მაგიერ, შე უბედურო... — აუწია ხმას და მალულად ბიბოს პირველი ცოლისგან დარჩენილი, უცოლო შვილისკენ გააპარა თვალი, — ბიბო... გააგრძელა ისევ,

— რავა გლახა დროს მოგვატიე შე უნამუსო, რა

დროის სიკვდილი იყო, შეშის და თივის მოტანა მაინც მეგესწრო, რა გვეშველება, ცივ ზამთარში..?

— ისევ გერისკენ გაპარა თვალი. ბიბოს ერთადერთი ვაჟიშვილი მოთმინებით იტანდა დედინაცვლის შემოტევას და ჯიუტად მისჩერებოდა ერთ წერტილს.

დასატირებლად გადმოსულმა ერთ-ერთმა მეზობელმა პაუზით ისარგებლა და ბიბოს თხოვნა დააბარა:

— ბიბო, შენი ჭირიმე, ხო იცი რავა უყვარდი საცოდავ ჩემ ქმარს, ფეხმოტეხილი წავიდა ამ ქვეყნიდან და აბა შენ იცი, რავა მიმიხედავ, შენი იმედი მაქ.

— რას ამბოფ ქალო, ხო გედეირიე! — იყვირა ბიბოს ქვრივმა, — ჩემი ბიბო თვითონ დანტრეული წევიდა საიქიოს და შენი ფეხმოტეხილი ქმრის პორნიალის თავი ექნება?!

— ჩემო! ბიბო! — დაიწყო ახლა სხვა მოტირალმა, — აქეთ აღარ მოიხედო, მშვიდობა დაუტოვე შენს ოჯახს და მეზობლებს. ჩემს ქმარს რო ნახავ გადაეცი, შენი მონაგარი კარგად არის თქვა, ბიჭი უმაღლესში მოეწყო, ნაბლამ სახარე ხბო მოიგო თქვაა!..

— უიმე, გადამრევს ეს ხალხი, — იყვირა ისევ მთავარმა ჭირისუფალმა, — რავა, მერე ამდენ რამეს რო აბარებთ, რაფერ დეიმახსოვრებს? სიცოცხლეში, თოხზე რო გავაგზავნიდი, კიბე მოქონდა ხოლმე, ცხონებულს. მაგას ჯობია, მკვდარს მივხედოთ ახლა. მევიდა უკვე გასვენების დრო. რამე უნდა ჩავაყოლოთ სასახლეში. ნადირობა უყვარდა გაჭირვებულს ნამეტანი და აგერ, თოფი რო კიდია კედელზე, ჩამიღეთ, დოუდეთ გვერდზე, — თან ისევ გერს გახედა ნიშნის მოგებით.

ეს კი ვეღარ მოითმინა ბიბოს გვარის გამგრძელებელმა და დედინაცვალს გაკვირვებულმა მიახალა:

— რომელი მონადირე მამაჩემი იყო, შე ქალო, ერთი ყვავი და ორი ჩხართვი თუ ყავდა მოკლული. ისე, თოხზე უფრო, ძალები უყვარდა და ბარებ ისინიც ჩაყოლეთ, თუ ძალიან გინდათ! — კარში გამოვარდა და კაბები ხმაურით ჩაირბინა. ქალებმა სიცილი ვეღარ შეიკავეს, თავსაფრის ბოლოებით მაღლავდნენ ღიმილს.

— კაით ახლა, გეყოფათ ტირილი, ნახევარი საათი გადაცდა ორს. გადით ახლა ქალები გარეთ და ჩვენ მივხედავთ მიცვალებულს... — საქმიანად განაცხადა კირზის ჩექმებში და პიჯაკში გამოწყობილმა კაცმა.

ქალები ხმაურით წამოშალნენ, გაჯიუტებული ქვრივი ძალით მოაცილეს ბიბოს ცხედარს და გაკავებული ჩამოიყვანეს ეზოში. მამაკაცებმა თავის საქმე გააკეთეს, ბიბო სამჯერ შემოატარეს ტახტის გარშემო, სასვენებელი სამჯერ მიაჯახუნეს კარზე, ეზოში ჩაიტანეს და წინასწარ გამზადებულ სკამებზე დაასვენეს.

— ბიბონ!.. სად მიდიხარ, ვის ამარა მტერ მე საცოდავს? — ლოყებზე ფაქიზად ჩამოისვა ფრჩხილებდაჭრილი თითები ქვრივმა, — საფარებელი გადახადეთ, უკანასკნელად დაანახვეთ თავის ეზო-კარი საცოდაეს!

— რამე ჩააყოლეთ, ისე არ გაიყვანოთ ეზოდან!

— თოფი დაგავიწყდათ, თოფი! — ისმოდა აქეთ-იქიდან. თოფის ხსენებაზე ქვრივმა ტირილი შეწყვიტა დახალხს თვალიმოავლო. მზერაერთ-ერთმეზობელზე შეაჩერა და მიაძახა: — არიქა კაკო, ეირბინე ზევით, კედელზე კიდია და ჩემეტიანე, თუ კაცი ხარ!

კაკომ სწრაფად აირბინა კიბები, თოფი ჩამოიტანა და მარჯვენა მხარეს დაუდო მიცვალებულს.

— გაზნებიც თუ არ გააყოლეთ, რათ უნდა ცარიელი თოფი, მონკავშირის მაღაზია კი არ არის საიქიოს, — ხმადაბლა ჩაილაპარაკა ვიღაცამ. თავშეკავებულმა სიცილმა გადაურბინა შეკრებილებს. ამ დროს, დაგვიანებული ჭირისუფალი შემოვიდა ეზოში, ბიბოს გარე ბიძაშვილი. შორიდანვე თავში წაიშინა ხელები და ხმადაბლი მოთქმით მიუახლოვდა კუბოს.

— რა დროს შენი სიკვდილი იყო ბიჭო, შენ მოგიკვდი!.. შენ მოგიკვდი!.. შენ მოგიკვდი!.. — გაიმეორა რამდენჯერმე. ამ დროს ვიღაცამ ხმამაღლა დააცემინა. მოტირალი უცებ გაჩუმდა, მერე უმისამართოდ მიაძახა: — ჯვარი გენეროს, შე ოხერო! ქვე რაღა ახლა მოგინდა დამცხინვება?

— ე ბიჭო, წევიყვანოთ დროზე, თუ არა, მოვიდა სალამო, — შეახსენათ შუახანს გადაცილებულმა კაცმა. იერზე და გამომეტყველებაზე ეტყობოდა, სოფლის თავებაზე დებდა თავს. როგორც იქნა გამოსავენეს ხზიდან თოფსჩახუტებული ბიბო. პატარა მანძილზე ხელით ატარეს, ორლობეს რომ გასცდნენ და შარაგზაზე გავიდნენ, წინასწარ გამზადებულ ურემზე დაუდეს და რახრახით გაუყენეს სოფლისგან გვარიანად დაცილებულ სასაფლაოსკენ. გზაში რამდენჯერმე მოასულიერეს ბიბოს „გულშემოყრილი“ მეუღლე.

სანამდე გაჭრილ საფლავში ჩასვენებდნენ, სოფლის თავებაცმა, გამოსათხოვარი სიტყვა უთხრა ბიბოს. მესაფლავებმა ქალებს ერთხელ კიდევ მისცეს გამომშვიდობების საშუალება, სასვენებელს თავი დაახურეს და გამოაცხადეს: — წადით ახლა თქვენ და ამას ჩვენ მოვუკლით.

უკან გამობრუნებული პროცესია ჩქარი სვლით ბრუნდებოდა სოფელში. მათ სმენას ყრუდ სწვდებოდა ბიბოს სასვენებლის სახურავზე დაყრილი ქვების და მინის გოროხების ბრაგა-ბრუგის ხმა.

— ჩვენც ასე მოგვაყრიან ქვას და ლოდს, როცა მოკვდებით? — ეკითხება შვილიშვილი ბაბუას.

— არა, ბებიაშენისამ, ჩვენ გაცრილს მოგვაფრევენ!

— უარი არ გვითხრაო, ოჯახის თხოვნაა, სუფრას თქვენ უნდა გაუძლვეთ, — ხმადაბლა ეუბნება სოფლის

თავკაცი ქალაქიდან ჩამოსულ, ბიბოს შორეულ ნათესავს.

— რავა გეკადრებათ, ბატონო! თქვენზე უკეთ ვინ გაუძლვება ამ საქმეს, თქვენ უკეთ არ იცით ბიბოს ოჯახის და სოფლის ავ-კარგი?

— მაგაზე კი არ არის საქმე, თქვენ რომ გამართულად იტყვით, მე მაგდენი სად შემიძლია?

— დამზეურეთ, თქვენგან უფრო უპრიანია. თანაც ჭირის დღესავით მეჯავრება ამისთანა ამბავში თამადობა. იმდენი ტყუილების თქმა გჭირდება კაცს, მაგარი გაძლება უნდა. თუ ყველაფერს მორტალს იტყვი, არც ჭირისუფალს მოსწონთ და არც სუფრის ნევრებს.

— რა ვენა აბა, მე დამავალეს თქვენთვის მეთხოვა და ახლა რაფერ ვუთხრა მე ვითამადებ თქვა? — მოლბა სოფლის თავკაცი.

— მაგის დარდი ნუ გექნებათ, მე თვითონ მოველაპარაკები ოჯახს.

— კაი, ბატონო, რავარც გენებოთ! — ხმაში კმაყოფილება დაეტყო პერსექტიულ თამადას.

პატარ-პატარა თავპატიუსისა და მიწევ-მოწევის შემდეგ, როგორც იქნა, დალაგდა ხალხი გაშლილ სუფრასთან. ბიბოს ვაჟიშვილმა თამადა დაასახელა და ქელეხი ძალაში შევიდა.



რამდენიმე სადლეგრელოს ყურადღებით მოუსმინეს. მერე თანდათან იმატა ხმაურმა. ყოველ ახალ სადლეგრელოზე თამადა ხმას თანდათან მაღლა უწევდა, მაგრამ შეზარხოშებული სუფრა ყურს აღარ უგდებდა. თერჯოლიდან მოტანილმა, საქელეხო ღვინომ, თავისი ქნა. ზოგს ძილი მოერია, ზოგი პირიქით, ხასიათზე მოვიდა. კაცებზე მეტად, ქალები ხმაურობდნენ. აღარც მიცვალებული ახსოვდა ვინმეს, აღარც ჭირისუფალი.

— სახლო სალხინოდ და ჩადგმულოო! — მთელი ხმით წამოიწყო სიმღერა ბიბოს კარის მეზობელმა, — თავი ქორწილში ეგონა ალბათ, პირზე ხელი რომ არ აეფარებინათ, ბოლომდე ჩაამთავრებდა მელოდიას. სამმა კაცმა ძლივს გაიყვანა გარეთ.

ცოცხლების სადლეგრელოზე ახალი გადასული იყო თამადა, ავტობუსის ძრავის ნაცნობი ხმა რომ გაისმა. ნახევარი სუფრა საცერეში ჩასხმული წყალივით უეცრად დაცარიელდა. ქალაქში მიმავალი მგზავრები, ავტობუსში ასვლას ერთმანეთს არ აცლიდნენ.

ქელეხის თამადა სუფრაზე შემორჩენილ ხალხს ემუდარებოდა, ბოლომდე ეცლიათ დაკისრებული მოვალეობის შესრულება, მაგრამ მისთვის აღარავის სცხელოდა. ერთმანეთზე გადახლართული მთვრალები, ბანცალ-ბანცალით მიიკვლევდნენ გზას სახლებისკენ.

სოფლამდე ძლივს აღწევდა ბიბოს საფლავთან დაყუნტებული მისი ძალების ყმუილი.



მისი სმა გუგმის მთირან, მარიან,
სცრდიქნს უმშვინეს
სიცოდურო, ნაღველიც...
საძართველო მისი გუარი ღა
სიყვარულია მისი სახელი.
კანო ცინცაძე

გიგანტი

შემოდგომის გაზაფხული, ან კიდევ მართლაც და „მზე შემოდგომისა“, მზე, რომელიც სიცოცხლის ორბიტაზე ფართოდ მოკალათებულა და შემოქმედებითი აღზევების კალათას ესოდენ ძალუმად ათბობს და ანათებს. მზე მუზისა და კალმის, ფილმისა და კადრის, მზისა და მთვარის, სიკეთისა და შარმის და სხვა მრავალი ქათინაურის ტიტულთმპყრობელის — 72 ათეული წლის მიჯნაზე მდგარი ბერმუხის ბატონი გივი სიხარულიძის ფაბულის უცვლელი მეგობარია, მზე, რომელიც მის ორკესტრულ ნიჭიერებას განსაკუთრებულ ეშვესა და ლაზათს ჰმატებს.

თებერვლის მიწურულს, 28 რიცხვში ბატონ გივის 72 წელი უსრულდება. დგას შემოქმედი და მხრებგაშლილი გადასცექრის განვლილ წელთა ნუსხას, დროს, რომელსაც ვერასდროს დააბრუნებს და ვერც ვერასგზით შეცვლის, — ალბათ ყველაფერი ასე უნდა ყოფილიყო უფლისაგან, — „ჩემმა განვლილმა წლებმა შექმნეს ჩემივე პიროვნება, მადლობელი ვარ ღვთისმშობლის, რომლის მფარველობასაც ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობ, მადლობელი ვარ ესოდენ დიდი წყალობისა და მფარველობისათვის“, — ამბობს მწერალი და მსახიობი და ღვთისავე დაწერილი კანონის თანახმად კვლავ ახალგაზრდული შემართებით აგრძელებს შემოქმედებით ცხოვრებას.

დიდი და ლამაზი ოჯახი, მწერლობა თუ კინო კარიერა, უურნალისტიკა თუ მისი პირდაპირი პროფესია — ადამიანობა, 72 წლის გივი სიხარულიძის ცხოვრებისეული სამკაულია.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ გივი სიხარულიძე ამქვეყნიურ სიცოცხლეს უპირატეს პატივს მიაგებს, მას სიცოცხლე, თავისი ტრაგიზმითა თუ ბედნიერებით, განსაცვიფრებელი ძალით უყვარს. და იგი ადამიანური ბედნიერების ერთადერთ უმთავრეს წყაროდ მიაჩნია. უფრო სწორად, ის აღვსილი და აღტყინებულია სულის თავისუფლებით და ყოველივეს, რაც მის თავისუფლებისკენ თავდავიწყებულ ლტოლვას ზღუდავს — იქნება ეს ფარისევლობის ჭაობში ჩაფლული საზოგადოების მოთხოვნები, თუ მკაცრად განსაზღვრული და დადგენილი ეთიკურ-მორალური კანონის ჩარჩოები, ებრძვის და მათ დამსხვრევას ლამობს. მეტიც, ის შეგნებულად იქცევა გამომწვევად, რათა ამ ყალბი საზოგადოების აღშფოთება და ზიზღი გამოიწვიოს, აი ამგვარად იგი ხაზს უსვამს და წარმოაჩენს თავის სულიერ ამაღლებულებას და დასცინის იმ საზოგადოებას, რომელიც სხვათა დასანახად ისე იქცევა და ცხოვრობს, რომ თავის გარეგნული, მოჩვენებითი წესებით და მორალით ჭეშმარიტად სულიერად ამაღლებულ ადამიანებს თვალში ნაცარს აყრის.

ელიზბარ ჯავალიძე

ძალიან ძლიერი კალამი გაქვს! შენ რომ არ წერო — სისხლის სამართლის დანაშაული იქნება. შენი სტილი ღრმად ფსიქოლოგიურია, მანერა — ორიგინალური. ეს არ არის ნოველები. არავის გავხარ. ეგ ყველაფერი არის რომანის უძლიერესი ფრაგმენტები, თანაც საოცარი...

ერთლოს კასრაძე

ცილი თაყარია

რთული, ლაპირინთიანი გზა ცხოვრებასა და ლიტერატურაში. იგი არავის ჰგავდა. თავიდანვე რჩეულად ჩაეფიქრებინა განგებას. მწერლობაშიც ასევე შემოაბიჯა და დამკიდრდა, დაფუძნდა. თუმცა, ეს, გვიან მოხდა... და მაინც აღსრულა განგებისმიერი ჩანაფიქ-რი; მაშინ, როდესაც სხვა მწერლები სამწერლობო მაგიდას უსხდნენ და შემოქმედებდნენ, გივი სიხარულიძე ცხოვრების ტაბლას უჯდა და მამაუფალის საგანმგებლოს აკვირდებოდა...

თემურ შავლაძე



გაგიგონიათ გივი სიხარულიძე?!

ეს არის ბუნების ნათავებედარი კაცი არაბული ცხენივით პატარა თავით, განიერი ბეჭებით, ვეებერთელა მუშტებითა და მშვილდივით მოზიდული ტანით, რომელიც თოფის წამალივით სულ ასაფეთქებლადაა მზად. ეს არის ღმერთის ნებიერა კაცი, რომელმაც ფეხის წვერებზე მოიარა მსოფლიო - ცეკვით დადის, ლექსით ლაპარაკობს, სიცილით მუშაობს.

ეს არის ჭუის კოლოფი, რომელმაც იცის რა ვაი-უშველებელი გვჭირს ჭუისაგან და არ მალავს არც თავის, არც ჩვენს შერეკილობას. ეს არის კაცი, რომელზეც განგებამ თავისი მადლიანი კალთა დაიბერტყა - ერთის კი არა ათასის ნიჭი მისცა, მაგრამ არა ბედილბალი. ეს არის კაცი-გამოცანა!. რომელზეც ახლა თვითონ ინება ამოებსნა თავი და წერამ აიტანა.

გიზო ნიშნიანიძე

სხვა ჯიგარი გაქვს, მველი მმობის
ბოლო სარდალო,

არც მომავალში დაისმება

შენთვის წერტილი...

სახეზე ღიმით, გულში დარდით

ვის შეგადარო,

შენი სიცოცხლე სულ იქნება თავაწევეტილი.
ვაჯა მთარაშვილი

„კაში, ჩოგალიშ არავის არ ჰგავს“



ნირნამხდარი თებერვალი წუთებს ითვლის, წუხს, რომ არაფრის შეცვლა შეუძლია, ძალაგამოცლილი გაჰყურებს ნისლიან მომავალს და თვალს ჯადოსნური ეტლით მომავალი გაზაფხულის ელვარება სჭრის. ისიც, რომ ბუნების კანონზომიერებას წინ ვერაფერი დაუდგება და უფალს მხოლოდ ერთ რამეს ევედრება:

— თავის გვარ-სახელის უკვდავსაყოფად პირი მზისა და პირი მთვარისა — მზეჭაბუკი დედამინისა მისი მბრძანებლობის ეპოქაში მოველინოს სამყაროს. არადაგიუმაჟიმარტიპირმშვენიერიქალი ეთერის მშობიარობის დროს თავის კალენდარზე ითვლის. ღმერთმა აქაც ჩაგრულის მხარე დაიჭირა. თებერვლის ვედრება ისმინა და სწორედ მისი მწუხრის ჟამს, მისსავე უკვდავსაყოფად დედას მზისა და მთვარის სადარი ჭაბუკი აჩუქა, პირმშოს თავისი — ოქროს სირმებითა და მარგალიტების თვლებით მოოჭვილი აკვანი გაუმზადა, თან ოქროსავე ზარდახშაც უბოძა, რომელსაც საუკუნის ნიშა ადევს. ღამლამობით კი მთვარე არ აკლებდა მზრუნველობას. ნებიერას ირგვლივ ანგელოზები დატრიალებდნენ და გამუდმებით მის ბედზე ბჭობდნენ. „მზისა და მთვარის“ ნაჯვარს შესაშური გული და გონება დაანათლა გამჩენმა. სილამაზით ხომ ბადალი არ ჰყავდა. პატარა მერცხალივით ბიჭს ნებიერა დაარქვეს.

ბიჭი თბილისის ერთ-ერთ ძველ უბანში იზრდებოდა, ინტელიგენტი მშობლები შესაფერის გარემოს ვერუქმიდნენ, ხშირად შიოდა, სწყუროდა, სციოდა, მაგრამ მის სილამაზეს ნირი არასდროს დაუკარგავს, ჭილობს მიღმა ხომ რეალური სახე არასდროს იკარგება.

ცელები იყო, მოუსვენარი. დედამ ეკონომიური სიდუხჭირის მიუხედავად შვილის აკადემიური

აღზრდა მოინდომა, ცეკვაზე ბებიას დაჰყავდა, ხო, ვითომ ბებიას, ნებიერა წინ გარბოდა, მოხუცი ლოცვანარევი წყევლა-კრულვით მისდევდა უკან. დედის რისხვას ხშირად იმსახურებდა, სკოლაში სიარული არ უყვარდა, სწავლისგან თავი შორს ეჭირა, მაგრამ ცურადლება არასდროს არავისგან აკლდა. ბევრი ბავშვური ოცნება ჰქონდა, ხან კამფეტი ენატრებოდა და ხან ველოსიპეტი, მამა გადასახლებული ჰყავდა. დედა და ბებია ნებიერასთვის ცხოვრობდნენ, მაგრამ მეტი საშუალება არ ჰქონდათ.

გავიდა დრო. ნებიერას წლებთან ერთად სილამაზე და იშვიათი აღნაგობა უფრო და უფრო თვალისმომტრელი ხდებოდა. მზეჭაბუკი მიხვდა, რომმისგანუმეორებელეშესადა სილამაზეს მეტი ინტელექტი დასჭირდებოდა, საკუთარ თავზე მუშაობა დაიწყო. ჭრელი და საინტერესო ცხოვრება განვლო. ქუჩიდან დაიწყო და გზად შემხვედრი ცველა ბარიერი წარმატებით გადალახა. მას შემდეგ, რაც ოთხი ათეული წელი ცხოვრების ტაბლას უფეშქაშა, თავის რჩეულს ღმერთმა კალამი გამოუგზავნა და ყურში ჩასჩურჩულა, ეს არის შენი მეგზური, ეს არის ის, რაც შენს პიროვნებას კვარცბლბეგს უმზადებს. მას შემდეგ კალამი და კინო-ობიექტივი ძერნავს ნებიერას სულიერ მეს და დღეს იგი მსოფლიოს საკუთრებაა. ნებიერა ცველა ენაზე ერთნაირად უღერს განსხვავებით მისი შემოქმედებისა, რომელიც არაერთ ენაზე ითარგმნა. მას ხან ადამიანი გამოცანა დაარქვეს, ხან ადამიანი ორკესტრი, ხან კვიცს შეადარეს... ფაქტი კი ერთია, დღეს ნებიერა ცხოვრების ოქროსფერი შემოდგომის კარიბჭის ზღურბლზე დგას, დატვირთული შემოქმედებითი წარმატებებით. ცხოვრების სიმძიმეს მისი წლებისთვის ვერა დაუკლია რა, კვლავ მხრებაშლილი, არწივივით გადაჰყურებს განვლილ 72 ათეულ წელს და ახალგაზრდული შემართებით სჭვრეტს მომავალს, მას წინ კვლავ უარის საქმე ელის. უფლის ნებით მზისგან ნაჩუქარი ზარდახშა ხომ საუკუნის შემდეგ უნდა დაილუქოს. მისი სიცოცხლის ნაძვის ხე ავტორს 100 ბურთულის ადგილს უმზადებს.

ღვთისმშობლის კალთაზე მონანავე ნებიერას ბედი საუკუნისთვისაა გამიზნული.

ავტორი უცხოგია, პატონ გივას მოვალა ერთ-ერთ შესვებრიზე გადასცოს.

პეტარ ქართული



მმა და კაი ება

გელა გულითადის-ძე ლობჯანიძეს

„მზესავით თბილო ვაჟეაცო,
დღესაც ცოცხლობ და კაშაშობ,
ჩენ უშენობამ დაგვაზრო,
შენ უჩენობამ დაგაცხრო.
გარინდა წუთით სოფელი,
წლები წამებმა დალია,
რასაც არ გინდა მოცილდე,-
მასთან მოწევეტა ჩეარია...
აჩქარდა მდორე დროება,
წალება წიერმის წალეოტი.
გაუფერულდა ცხოვრება
რასაც შენ ასე ამჟობდი...
გულს გვიხარებდა მმავ, კაცო,
შენი მიმოსვლა რწეული,
ლეგიონებმიც იქავი
რაღაცით გამორჩეული.
გქონდა კაცური გული და
გქონდა სისხლი და ჯიგარი.

შენნაირების მებნაში
თვალებით, მზერა იღალვის.
დროს ცოტა მოაქეს კაცური,-
ისე წახდა და დაეცა,
უღირს თვალები მაცდური
აკრძალულისკენ გაექცა...
„შენ არ ჩაჭრილხარ რამეში,
უველასთან იქავ ხალის,
სიკეთით სავსე გაჟეაცო,-
მეგლი დედის და მამასი...
ტოლ-ხუროებს გულითადობდი
სმირად თავ-მეოფი ლხინშიაც,
უველავერს გულით ამბობდი
გრძნობდი, - კაცობა სისხლშია...
უვარობდი შენს დიდ გარსაგისს
იქავი კაცი ერთგული.
გქონდა მიმოხვერა რაინდის
და მოწევება მეფური...

იუავი სამმოს მშვენება,
და დედაბობი იმედის.
სიკეთეს სამართლიანად.
მართალ კაცს უნაპირებდი...
და არ გვეკონა განგება
თუ ასე უცებ ჩათოვდა.
და დააზრობდა იმ ერთ კაცს
ვინც რომ ათასებს ათბობდა...
დაგვაკლდი, როგორც სხვაც ბეჭრი,
კარგი გოგო და კაი-უმა
იქნებ კვლავ ბეჭრი გაფურჩქნოს
შენნაირები გაისმა.
მშვიდობით გულითადის ქავ,
ბადიშო იორდანესი...
გზას მაღაც კარგად გაიგვლევა,-
შიშით არ მრწოდი ლამეში...

17-XI-2015

შენს სუფრაზე

შალვა სანადოს ძე გაგაშელს

„შეველაფერი ისე იქო
როგორც ადათით და წესით...
კი, სუფრაზე ოქროც იქო,
გაიწერიალებდა ვერცხლიც.
მოვიგონეთ უველა ჩეენი
უდროით თუ დროით მკვდარი,
იქო გულის გაგლეჯა და
იქო წმინდა ცრემლის ღვარი.
იქო წრფელი სინაწელი,
და სიცილიც აქ-იქ იქო.
რა დაულევს ღვინონასვამს
სინაწელს და საქილიკოს.

იქო მსჯელობა სიკედილზე,-
მველებურიც, ახლებურიც,
იქო გაუფრთხილებლობა
და უოფა წინდახედულიც...
ღვინომ აზრები არია,
და ჩეენ ერთხმად გაღიარეთ,
რომ ის გზა გამოცდა არის
რაც ჩეენ ქვეუნად გავიარეთ...
და გავდიგართ ამ ქვეუნიდან
ვინ შესატევის ჰლანეტაზე
სხვა, რანაირად იცხოვრა,
რა დატოვა განგლილ გზაზე...

ბოლოს, როცა ბრძენობით და
ღვინის სმითაც დავიღალეთ,
მაგრამ, ერთურთის გულისთვის
ვიდექით, არ დავიშალეთ,
ვთქვი, - ახლი რომ თვითონ იქოს
აქ თამადათ მაგიდაზე,
შალვა, ნეტავ, რას იტეოდა,
ან ჩეენზე ან თავისთავზე.
ზოგმა ეს თქვა, ზოგმა - ის თქვა
აზრიანიც, უიდეოც...
მე „არ მინდა რომა გტოვებთ
მაგრამ, უნდა წავიდეო“.

27.06.2014.

რისი ჰატიება შეუძლია თამარ სხირტლაძე?



თამარ სხირტლაძეს ასაკი სულაც არ უშლის ხელს იგაზი, რომ მთელი თავისი არსებით აკეთოს საყვარელი საქმე და ერთგულ მაყურებელს სიამოვნება მიანიჭოს. ახალგაზრდებს დღემდე უკვირთ მისი შემართება და ენერგია, მაგრამ როგორც თავად ამბობს, სხვაგვარად არ შეუძლია.

მიუხედავად იმისა, რომ თამარ სხირტლაძეს კიონიც უაუშავია, მისთვის ეთავარი მაინც თეატრი, რადგან თეატრი ცოცხალი რჩებანიზმია, რომელიც ყოველ ჯერზე განუზომელ სიამოვნებას ანიჭებს არატისტს.

თეატრზე უარი ვერციდ უდიდესშა ტკივილა ათძველება, რასაც ერთადერთი შვილის გარდაცვალება პვია, თაზო თოლორაია, რომელიც მაყურებელში გოლომედე ღიმილის გიგაზ დარჩა, მძიმე სენით გარდაცვალა, მაგრამ ტკივილისგან განადგურებულია დედამ შეძლო და თეატრსა და კიონიც მუშაობა გააგრძელა.

ოჯახის ტრაგედია და ჩაშლილი ეორნილი

„19 წლის ვიყავი, როცა დედა გავხდი. თეატრის გამო ერთადერთი შვილის ამარა დავჩი. ერთხელ ჩვენს მეზობლად საფრანგეთში მცხოვრები ქართველები გადმოვიდნენ. თაზო ამ ოჯახში ფრანგულში ემზადებოდა. ამ ქალს რომ არ ეცალა, თაზო მისმა შვილმა ამეცადინა. თაზო ალენილი ჩამოვიდა, ეგღა მაკლია, იმ წიპუამ მამეცადინოსო, მაგრამ კალატოზიშვილების უმცროს ქალიშვილს ნინოს და თაზოს ერთმანეთი შეუყვარდათ და ბათუმში გაიპარნენ. მაშინ თაზო 19 წლის იყო, მათ გაუჩნდათ ქალიშვილი რუსი. ნინომ და თაზომ ექვსი წელი იცხოვრეს ერთად. თაზო ძალიან პოპულარული იყო. მისი პირველი ოჯახის დანგრევაც ამან გამოიწვია. ძალიან განვიცადე.

მერე თაზომ მარინა წულუკიძე შეირთო ცოლად. მარინა კინომსახიობთა თეატრში კონცერტმეისტერად მუშაობდა. მას თაზოზე ეხუმრებოდნენ და მასაც ეტყობა გრძნობა გაუჩნდა, ერთხელაც ზუგდიდში გაიპარნენ, მერე კი გაუჩნდათ თაკო“.

„თაზოს უკურნებელი სენის შესახებ თავიდან არ ვიცოდით, რომ გავიგე, ჩემი მეუღლისათვის არ მითქვამს. კოტე ყველაფერი იყო თაზოსთვის, დედაც და მამაც, ამიტომ გამიჭირდა თქმა. ერთი თვე მარტო ვატარე ტკივილი. თაზოს

გარდაცვალებამდე ორი კვირით ადრე, სულ უფრო და უფრო უკან-უკან რომ მიდიოდა მისი ჯანმრთელობა, კოტემ გამწარებულმა უთხრა ექიმს. „რა გახდა მისი მორჩენა, კიბო ხომ არა აქვსო?“ ექიმმა თავი დაუქნია, ჩემი ქმარი ლოგინად ჩავარდა, ნერვების ანთება დაემართა. 40 დღე ტკივილისგან კიოდა. თაკო თხოვდებოდა, კაბა მზად ჰქონდა, თაზო რომ გარდაიცვალა ქორწილი ჩამალა, თაზოს გარდაცვალების დროს მისი ორივე შვილი თაკოც და რუსოც ფეხმძიმედ იყვნენ.“

მეგობრების თანადგომით...

იმ პერიოდში მედა მედიკონჩახავა სამეფომუბნის თეატრში ვთამაშობდით „აქ, ამ სავანეში“, რომელიც თემურ ჩხეიძემ დადგა. თემურს დავურეკე, მე, ალბათ ვეღარ შევძლებ თამაშს მეთქი. მაგრამ მედიკო და თემური გვერდით დამიდგნენ, ძალა დამატანეს. კოტემ ტელეფონში რომ გაიგონა ეს ლაპარაკი, მითხრა, თუ გინდა კარგად გავხდე, წადი რეპეტიციაზე, მედიკომ გადამატანინა ეს დიდი ტკივილი, შვილზე თუ დავიწყებდი ლაპარაკს, სხვა თემაზე სასაუბროდ მიწვევდა.

„რუსთაველის თეატრში რომ ვთამაშობდი სპექტაკლს „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი“, აკაკი ვასაძე იყო ამ სპექტაკლში დაკავებული. მოულოდნელად გარდაეცვალა ერთადერთი ვაჟი,

დაკრძალვის მეორე დღეს
მსახიობები შევიკრიბეთ
თეატრში და ვასაძეც მოვიდა,
ჩვენ გაოგნებული სახეები
გვქონდა, მან კი გვითხრა,
„გიკვირთ, რომ მე გუშინ შევილი
დავასაფლავე და აქ მოვედი?
მე ჩემ შვილს როცა მინდა
და სადაც მინდა იქ ვიტირებ,
მაგრამ ეს ჩემი საქმეა,
რომელსაც ვერ ვულალატებო“.
წინათ ვამტყუნებდი
ერთადერთი შვილი მოუკვდა
და როგორ არის-მეთქი?
ნურავინ იტყვის ამას წინასწარ,
ჩემ შვილს დამე ვიტირებ თუ სასაფლაოზე, ამას
სხვა ვეღარ მოისმენს“.



აუცილებელი სიზმარი

ერთხელ ხერხემლის მალა მქონდა გატეხილი,
საოპერაციო ვიყავი, მაგრამ სპექტაკლებს მაინც
ვთამაშობდი, ექიმმა გოგლიკო მაღალაშვილმა,
რომ იტყვიან, ოპერაციის გაკეთება „დამაძალა“.
ოპერაციის წინ დამესიზმრა, კიბეზე ავდიოდი
და თაზო დავინახე, სინათლეში იყო, ამდენ ხანს
გალოდინებ, ძლივს მოვალნიერები-მეთქი, ვუთხარი.
მეგონა წამიყვანდა მაგრამ, დიდი ოპერაცია
გადავიტანე და არაფერი დამემართა.

მონატრეპა, სიზმარი და რეალობა

ერთადერთი, რაც დრო გადის, უფრო მეტად
მჭირდებადა მენატრეპა ჩემიშვილი. ესამოუვსებელი
ტკივილი და მშობლისთვის მოუშუშებელი იარაა.
კოტე მისთვის სულ ლოცულობს. მეც ვლოცულობ,
მაგრამ კოტე ნამეტანს შვრება. მწამს, მაგრამ
როცა გრძნობ, რომ არ ხარ ეკლესიური და არ
ხარ ამას მიჩვეული, ძალიან ძნელია, უცებ ამ
ყველაფერს მიეჩვიო. ფარისევლობის ღმერთთან
ძალიან მეშინია. კოტე სულ კითხულობს ლოცვებს,
მაგრამ როცა სახლში არ არის, ჩემი შვილის გამო
სანთელს ვანთებ, წავიკითხავ იმ ლოცვასაც, მაგრამ
ღებულობს თუ არა ღმერთი ამ ჩემს ლოცვას, არც
კი ვიცი. შვილის სასაფლაოზე სიარული ძალიან
მიჭირს. მეგონა, მარტო მე ვიყავი ასე, მაგრამ
მედიკო ჩახავა მომიყვა, რომ საერთოდ არ ყოფილა
იმ შვილის სასაფლაოზე, რომელიც 32 წლის ასაკში
გარდაიცვალა. მჯერა, რომ ჭირისუფალმა ბევრი
არ უნდა იტიროს. დედაჩემი სანთელსაც კი არ
ანთებდა. მერე მეზობლებმა უთხრეს, სანთელი
მაინც აანთე ხანდახანო, ძმა გარდამეცვალა 21

წლის, რომელსაც დაკერებული ფეხსაცმელები
ჩააცვეს, ომის პერიოდი იყო და მაშინ ფეხსაცმელს
ვერსად იყიდდი, სიზმარში ვნახე, ბავშვი ვიყავი,
მაგრამ მაინც კარგად მახსოვს, სიბნელეში იჯდა და
ფეხსაცმელებს კერავდა.

... მე კი არ მჯერა

მშობლისთვის ძალიან ძნელია შვილის სიკვდილი
და ეს დიდი ტრაგედია. ერთმა მშობელმა მითხრა,
იცით, რა ბედნიერი ვარ, ჩემი შვილი გარდაიცვალა
და ახლა სამოთხეში არისო. იმ ქალისა და ჩემ შორის
ხომ არის განსხვავება?! იმ ქალს ასე სწამს და
სჯერა, მე კი არ მჯერა.

ძალიან მიჭირს ამის დაჯერება, ფარისევლობა
ღმერთთან არ შემიძლია. კოტესაც რამეს თუ ვეტყვი,
მაშინვე ღმერთო, მაპატიე-მეთქი, ვეუბნები“.

მიუღებელი?!

იცით რა არის ჩემთვის მიუღებელი?! მაინცდა-
მაინც ვიღაც უნდა გარდაგეცვალოს, რომ ეკლე-
სიაში სიარული დაიწყო? ბევრი მერე იწყებს
სანთლის ანთებას, სასაფლაოზე სიარულს და
ლოცვას, ეს არის ეკლესიურობა. ჩემთვის მიუ-
ღებელია ის ადამიანები, რომელსაც ჯვარი უკეთია
გულზე და შეუძლია კაცი მოკლას. არ მჯერა იმ
ადამიანების, როცა სამნი სცემენ ერთს და ჯვრები
უკეთიათ გულზე. კოტე მართლა სუფთა კაცია,
მას აქვს იმის უფლება, რომ სანთელი აანთოს და
ილოცოს, მაგრამ ყველას არ აქვს უფლება არც
ჯვრის ტარების, არც ტაძარში შესვლის და არც
სანთლის ანთების, თუ ადამიანმა შეგნებულად
გამამწარა, ცუდი გამიკეთა და მთელი ცხოვრება
შეგნებულად მებრძვის, რაღა უნდა ვაპატიო? ცუდი
არ გამიკეთებია, არ გადამიხდია სამაგიერო, არც კი
მითქვამს, ღმერთო, ცუდად გახადე-მეთქი.

არ შემიძლია ასეთ ადამიანს ვაპატიო და
ჩავიხუტო გულში“.

ცლითხ

დაფიციტი თუ რეადობა

ნამდვილი ამჟავი

დრო ქმნის პიროვნებებს, დროის ფაქტორი განაპირობებს თითოეული ჩვენგანის ხვალინდელ დღეს, თუმცა აღზრდა და სულიერი მე დროსთან ჭიდილის უცხადესი იარაღია. ბიძგი სიკეთისკენ, ბიძგი ავის ქმნისკენ, ეს ჩვენი პირადი წებისყოფის პრობლემაა. ცდუნება გაჭირვების გამო?! თუნდაც, მაგრამ ავ ზნეს და სულის წაწყმენდას გამართლება არ აქვს.

სწორედ ეს აზრი მიტრიალებდა თავში, როდესაც ჩემი რესპონდენტების მიერ არაერთი სატელეფონო შეტყობინება მივიღე:

— ქალბატონო ნინო, ჩვენ თქვენს წარმომადგენელს თანხა გამოვატანეთ.

აღნიშნულ ტექსტს მეტი დელიკატურობისთვის წინ საახალწლო მიღლოცვა უძღვოდა. აღმოჩნდა, რომ ეს ჩემი წარმომადგენელი არ იყო. ეს იყო ადამიანი და ჯუფი ადამიანებისა, ვინც ჩემი და რედაქციის სახელით კონკრეტული რაოდენობის თანხის გამოძალვას ცდილობდნენ.

რესპონდენტმა, ბატონმა... მითხვა, რომ საქმის გარკვევაში დამეხმარებოდა. დაიბარა ეგრეთწოდებული „ჩემი რედაქციის წარმომადგენელი“ და აღნიშნულ დროს მეც მივედი.

გაოცებული დავრჩი, თალღითის როლში ლოგიკიდან გამომდინარე, უფრო მცირე ასაკის პიროვნებას ველოდი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ქალბატონი საკმაოდ ასაკოვანია. მის უკან ვინ დგას, ესეც ცნობილია ჩემთვის?!?

რასაკვირველია, სათქმელი ვუთხარი, ზნეობისა და მორალისკენ მოვუწოდე, ვუთხარი, რომ ის შემსრულებელია, ვიცი დამკვეთიც. მაგრამ, იქიდან გამომდინარე, რომ წინასახალწლო პერიოდია და ყველაზე მეტი ქალები ვართ, ამჟამად ეს უმსგავსობა მიპატიებია. მსგავსი შემთხვევის განმეორებისას საჭმეულებისურიდიული კუთხით განიხილებოდა.

ეს იმდენი არაფერია, რაც პრობლემის გლობალურობა. ძნელია, როცა ადამიანს შენად მიიღებ, ითავისებ, პატივს სცემ და უცბათ ზურგიდან ლახვარს ჩაგცემს. საშინელებაა, როდესაც ადამიანების ნდობის კოეფიციენტი წულის ტოლია. მე არ ვიცი გასულ ეპოქაში როგორ იყო, მაგრამ ამბობენ მეტინდობა, სიცარული

და ერთგულება მეფობდაო ირგვლივ. მაშ, ჩვენ რა გვემართება?! ცივილიზაციამ ჩვენი მეობის ვექტორი უზნეობისკენ გადახარა? სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ნდობა და პატიოსნება XXI საუკუნის დეფიციტად იქცა!

ნინო რეხვიაშვილი



ქადაგი, რომელიც

აუტილუსტლადა

ძოვა...



ნელი ჩხარციავილი

„ყველაფერი, რისკენაც შენმიისწრაფი, უთუოდ მოვა, თუ შენ მოემზადები და დაელოდები მას“, — ეს არის ფრაზა ნიგნიდან „მონაზონი, რომელმაც გაყიდა თავის „ფერარი“, ფრაზა, რომელიც ამ ნიგნის ფაბულაა, შემდგომში ხორცშესმული. ნიგნი ცნობილ ამერიკელ ორატორს, ლიდერობისა და ცხოვრების სრულყოფის სფეროში პრნყინვალე ვარსკვლავს, რობინ შარმს ეკუთვნის, რომელიც ნიჭიერმადარეალისტურად მოაზროვნე მშვენიერმა ქალბატონმა, ფილოლოგმა ნელი ჩხარტიშვილმა თარგმნა.

ნიგნი გარდა იმისა, რომ არაჩვეულებრივი თარგმანია, მისი შინაარსი ყოველი ადამიანის ცხოვრებისეული გაკვეთილია, ეს არის თითოეული ოჯახისთვის სამადიგო ნიგნი, მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა მიაღწიო წარმატებას, იყო კეთილშობილი დარეალიზებული. ნიგნშირეალიზმი, ფილოსოფია და ფიქოლოგია ჯაჭვისებურად ებმის ერთმანეთს და ვიღებთ საოცარ შედეგს. ამ ნიგნით ვსწავლობთ ცხოვრების ლაპირინთებში მოძრაობის წესებს და საკუთარი თავის აღმოჩენის უნარს.

გარდა ამისა, აღსანაშნავია, რომ ქალბატონმა ნელიმ ქართველ მკითხველს, განსაკუთრებით ქალბატონებს, შესანიშნავი საჩუქარი გაუკეთათ, რუსულიდან თარგმნა ნიგნი, „გახდომა სწრაფად, სუნთქვით და უდიეტოდ“. ეს არის პროგრამა, რომელიც გრირ ჩაილდერსმა, 53 წლის ქალმა, სამი შვილის დედამ შექმნა და „ბოდიფლექსი“ დაარქვა. ამ პროგრამის საფუძველზე ქალმა 56 ზომა 44-ით შეცვალა.

ბოლო 20 ნელია ის აღნიშნული პროგრამით ასწავლის საავადმყოფოებში, სემინარებზე და დიდი წარმატებითაც სარგებლობს.

ქალბატონმა ნელიმ, რომელიც ხუთი შვილის დედა, პროგრამა საკუთარ თავზე გამოსცადა და ისედაც მშვენიერი ქალბატონი დღესაც საუკეთესოდ გამოიყურება, სწორედ აღნიშნული პროგრამით შეძლო მისთვის ჩვეული სინატიფის დაბრუნება.

პროგრამა მოითხოვს ნებისყოფას, რწმენას და მოტივაციას.

თუ გაქვთ საზომი ლენტი და 15 ნუთი დღეში, ე.ი.

ნოვაცია

თქვენმზადხართპროგრამა „პოდიფლექსისათვის“.
დანარჩენ სასწაულებს ამ წიგნის საშუალებით
შეიტყობოთ და თუ
ქალბატონ გრირს
და ქალბატონ ნელის
და კუჯერებთ,



გრამდეთ, რომ ძველებურ იერსახეს აუცილებლად
დაიბრუნებთ, თანაც ზედმეტი დროისა და
ფინანსების ხარჯვის გარეშე.

ეს ნამდვილად რეალური პროგრამაა.
ქალბატონი ნელი კი ის ადამიანია, ვინც არა
მარტო თავის, სხვათა სიამოვნებისთვისაც
ზრუნავს. ამიტომ გადმოგვიქართულა უცხოური
ტექსტი და გადმოგვცა
სახელმძღვანელოდ.

ნელი ჩხარტიშვილს
ხუთიწიგნიაქვსნათარგმნი.
არც სამომავლოდ აპირებს
კალმის დადებას, უყვარს
როდესაც თავის დაბადების
დღეზე მისივე ახალ ნაშრომს
მიუტანენ.

წარმატებას გისურვებთ,
მშვენიერო ქალბატონ!

ნინო რევილაშვილი

ორან სოხაძის არჩევანი

მთას ღარმრინია მთილი



მზე ამოინვერა და სოფელს სინათლის სხივი
მოჰყოინა. ქალაქელი ბიჭი ოთარ სოხაძე უკვე ფეხზე
დგას. ის ყოველ დილით მზეს ეგებება, მისი მაძლარი
სხივებით ენერგიას იკრებს და გულში ისედაც
სითბოჩალვრილი, კეთილშობილებით აღსავსე
ახალგაზრდა ჭაბუკი თავისი და სხვისი საქმის

კეთებას ერთნაირი შემართებით იწყებს. მისთვის
ხომ დღე გარიურაუით იწყება. სოფელში უამრავი
საქმეა, საოჯახო მეურნეობა, ამას დამატებული
სამსახური, ორი წელია ტყის მცველად მუშაობს.
სამსახურში წასვლამდე ოჯახში დილის საქმე
უნდა გააკეთოს. მეზობლებსაც უნდა შეეხმიანოს,

მშობელ მიწაში მიღებას ფესვები

იქნებ ვინმეს სჭირდება მისი მარჯვენა ხელი. ოთარი ხომ სოფელში მარტოდ დარჩენილი მოხუცების ერთადერთი იმედია. ამ ყველაფრის შემდეგ ოთოსამსახურში მიდის. ეს მისი ყოველდღიური ცხოვრებაა, ეს მისი არჩევანა!

ოთარი თბილისში დაიბადა და გაიზარდა. სოფელს სხვა ქალაქელი ბავშვების მსგავსად მხოლოდ ზაფხულობით სტუმრობდა, ყოველთვის ინტერესიანი იყო, ოთარი ბაბუას თან დასდევდა, ხელებში უყურებდა, რაღაც მოსწონდა, რაღაც უნდოდა, მაგრამ მშობლები ამას ჩვეულებრივ ბებია-ბაბუისა და მშობლიური სოფლის სიყვარულით ხსნიდნენ, ვინ იფიქრებდა, რომ XXI საუკუნის ეპიქაში, როდესაც უდიდესი დემოგრაფიული კრიზისია, 21 წლის ბიჭი ქალაქის ხმაურიან, ხალისიან, საინტერესო და თანამედროვე ცხოვრებას ხელს კრავდა და წინაპართა კერისკენ გაექცეოდა თვალი. 21 წლის ბიჭმა თბილისს ღიმილი უძღვნა, მადლობა მოუხადა და უპირატესობა სისხლის ყივილსა და ფესვთა სავანეს, მშობლიურ სოფელს მიანიჭა.

ოთარი დღეს სოფელში მარტო ცხოვრობს, ამბობს, რომაქ ყველაფერია მისი ბედნიერებისთვის, უკვირს თანატოლების და ვერაფრით აუხსნია

ტოქიმობრივი მუზეუმი სახურის ერთადერთი იმპერატორი

აქ უკიდურესი
ნაცი გელი ერებისა
მარტივი

რატომ უნდა უკვირდეთ მისი.

ოთარი უვლის სახლ-კარს, —, ბაბუას ნაშენები კერა როდემდე გაძლებს, მას ხომ განახლება სჭირდება“, ამბობს საამაყო შვილიშვილი და ბაბუის დანატოვარ სამუშაო იარაღებს საუკეთესოდ იყენებს. ქვაზე მუშაობა და კალატოზობა ბაბუამ ასწავლა, საძირკველს ამაგრებს, სახლს პატარ-პატარა დეტალებს უცვლის და თვლის, რომ ამით უდიდეს საქმეს აკეთებს.

ეზოში შვიდი ჯიშის ვაზი უდგას. აპირებს ვენახის გაფართოებას, უნდა მეურნეობა გაზარდოს. რგავს ხეხილს, როგორც თავის, ასევე დაკეტილი სახლების ეზოებში, წლების შემდეგ იქნებ ვინმემ დაბრუნება მოინდომოს და ხეხილი წამოზრდილი დახვ-დებათო, ამბობს. ოთარი ბოქ-ლომდადებული სახლების ერთა-დერთი იმედია. ოთარი სოფლის იმედია, ყველა მომსვლელის დამხვდური და მასპინძელია.

იგი უკვე 28 წლისაა. ოჯახის შექმნა უნდა, მაგრამ სოფელში ახალგაზრდა ალარავინ არის, იცის რომ ქალაქიდან არავინ წაყვება.

ამდენად, ცხოვრებით კმაყოფილი საამაყო შვილი რაჭის მთებში აგრძელებს ცხოვრებას.

აი, ასეთია ქალაქში გაზრდილი ოთარ სოხაძის არჩევანი.

6060 რევიზოლი





ციუკიძე საქონითვებოს ძმების
ციუკიძე საქონითვებოს ძმების



2015 წლის დაფინანსებული პროექტები

ამპროლაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი გალეაზ ლომთაძე

რეგიონის პროექტების ფონდიდან

- ◆ სოფ. ბუგეულში საბავშვო ბაღის მშენებლობა
- ◆ სოფ. სხვავა-ფუტიეთში წყალმომარაგების შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოები
- ◆ სოფ. ხოტევის წყალმომარაგების ცენტრალური მაგისტრალის და სათავე ნაგებობის მოწყობის სამუშაოები
- ◆ სოფ. ბოსტანა-ლვიარის წყალსადენის რეაბილიტაციის სამუშაოები
- ◆ სოფ. ლიხეთის წყალმომარაგების სათავე ნაგებობის რეაბილიტაციისა და ბეშიძეების უბნის წყალმომარაგების მოწყობის სამუშაოები
- ◆ სოფ. ხოტევის ყრუაშვილების უბნის წყალსადენის სისტემის რეაბილიტაციისა და ახალსოფლის სათავე ნაგებობის მიერთების სამუშაოები
- ◆ სოფ. ხოტევში სახიდე გადასასვლელების რეაბილიტაცია (მდინარე ხოტეურაზე 2 სიდი და შარაბიძეების უბნის ბოგირი)
- ◆ მდ. რიონზე სოფ. მუხლის ხიდის რეაბილიტაცია
- ◆ ხოტევი - კვირიკენმინდა - ველევი - ბეთლევის სასოფლო გზის რეაბილიტაცია
- ◆ სოფ. ხვანჭკარის საუბნო გზების რეაბილიტაცია

- ◆ მდ. ლუხუნზე სოფ. წესში ბარაკონის ტაძართან ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოები
- ◆ სოფ. ნიკორწმინდის დამატებითი წყალმომარაგების სამუშაოები
- ◆ სოფ. ზედა ლვარდის წყალსადენის რეაბილიტაციის სამუშაოები
- ◆ სოფ. სადმელის წყალსადენის რეაბილიტაციის სამუშაოები
- ◆ სოფ. აგარაში აბუთიძეების უბნის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები

ადგილობრივი პიუჯეტიდან

- ◆ სოფ ლიხეთის წყალსადენის რეაბილიტაციის მეორე რიგის სამუშაოები
- ◆ სოფ კვაცხუთში წყალსადენების მოვლა-შენახვის სამუშაოები
- ◆ სოფ ლვიარაში წყალსადენების მოვლა-შენახვის სამუშაოები
- ◆ სოფ ჭყვიშში წყალსადენების მოვლა-შენახვის სამუშაოები
- ◆ სოფ ბოსტანაში წყალსადენების მოვლა-შენახვის სამუშაოები
- ◆ სოფ ხოტევში წყალსადენების მოვლა-შენახვის სამუშაოები

መግለጫ

- ◆ სოფ ჭრებალოში წყალსადენების მოვლა-შენახვის სამუშაოები
 - ◆ სოფ ველევში წყალსადენების მოვლა-შენახვის სამუშაოები
 - ◆ სოფ ძირაგეულში წყალსადენების მოვლა-შენახვის სამუშაოები
 - ◆ სოფ ურავში წყალსადენების მოვლა-შენახვის სამუშაოები
 - ◆ სოფ ლიხეთში წყალსადენების მოვლა-შენახვის სამუშაოები
 - ◆ სოფ წესში წყალსადენების მოვლა-შენახვის სამუშაოები
 - ◆ სოფ ურავის ბალის შემოლობვის და ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები
 - ◆ სოფ ჭყვიშის ბალის შემოლობვის და ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები
 - ◆ სოფ ბოსტანის საბავშვო ბალის შემოლობვის და ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები
 - ◆ სოფ ნიკორწმინდის საბავშვო ბალის ეზოს შემოლობვის სამუშაოები
 - ◆ სოფ ხვანჯვარაში ადმინისტრაციული შენობის მოქალაქეთა მისაღები ოთახის სარეაბილიტაციო სამუშაოები
 - ◆ სოფ ნიკორწმინდის საბავშვო ბალის შემოლობვის მე-2 რიგის სამუშაოები
 - ◆ სოფ ზნაკვაში ადმინისტრაციული შენობის შემოლობვის სამუშაოები
 - ◆ სოფ ხარისხვალაში არსებული ტრანსფორმატორის შემოლობვის სამუშაოები
 - ◆ სოფ სხვავის თავშეყრის ადგილის მოწყობის მეორე რიგის სამუშაოები
 - ◆ სოფ.თხმორის სათიპ-საძოვრებამდე მისასვლელი გზების განმენდითი სამუშაოები
 - ◆ სოფ. ნიკორწმინდის სათიპ-საძოვრებამდე მისასვლელი გზების განმენდითი სამუშაოები
 - ◆ სოფ.ლიხეთისათიპ-საძოვრებამდემისასვლელი გზების განმენდითი სამუშაოები
 - ◆ სოფ.კვაცხუთის სათიპ-საძოვრებამდე მისასვლელი გზების განმენდითი სამუშაოები
 - ◆ სოფ.წესის სათიპ-საძოვრებამდე მისასვლელი გზების განმენდითი სამუშაოები
 - ◆ სოფ.უოშის სათიპ-საძოვრებამდე მისასვლელი გზების განმენდითი სამუშაოები
 - ◆ სოფ.ცახის სათიპ-საძოვრებამდე მისასვლელი გზების განმენდითი სამუშაოები
 - ◆ სოფ.ველევის სათიპ-საძოვრებამდე მისასვლელი გზების განმენდითი სამუშაოები
 - ◆ სოფ.ხიმშის სათიპ-საძოვრებამდე მისასვლელი გზების განმენდითი სამუშაოები
 - ◆ სოფ.ხვანჯვარის სათიპ-საძოვრებამდე მისასვლელი გზების განმენდითი სამუშაოები

რეგიონის ხმა

- ◆ სოფ ჭელიაღელეს საავტომობილო გზაზე მეწყრისაგან დაზიანებული მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები
 - ◆ ჭელიშის მონასტრის გზა
 - ◆ სოფ პირველ ტოლაში გარეგანათების მოწყობის სამუშაოები
 - ◆ სოფ კლდისუბანში გარეგანათების მოწყობის სამუშაოები
 - ◆ სოფ ბოსტანაში გარეგანათების მოწყობის სამუშაოები
 - ◆ სოფ მოტყიარში გარეგანათების მოწყობის სამუშაოები
 - ◆ სოფ წესშიგარეგანათების მოწყობის სამუშაოები
 - ◆ სოფ პატარაონში გარეგანათების მოწყობის სამუშაოები
 - ◆ სოფ ხიმში გარეგანათების მოწყობის სამუშაოები
 - ◆ სოფ ჭრებალოს კულტურის სახლის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები
 - ◆ სოფ სადმელის ბიბლიოთეკის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები
 - ◆ სოფ „ჩასავალას უბანი“ და „ოტიანახულევი“) და სასაფლაოსთან მისასვლელი გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები
 - ◆ კლდისუბანში შარაბიძეების უბნის წყალსადენის ახალი მაგისტრალის დაერთების სამუშაოები
 - ◆ სოფ ლიხეთში მდ ხეორზე გადასასვლელი ხიდ-ბოგირის მოწყობის სამუშაოები
 - ◆ სოფ ჭყვიში ქვიშარის წყალსადენის ქსელი ლაშიღელის ხიდის ბურჯის დამცავი გაბიონი განი გზის და ფრუიძეების ხიდ ბოგირი ჩარკვიანების ეზოს მიმდებარედ სანიღვრე არხი სოფ გენდუშში სავარგულებში გასასვლელი ხიდ-ბოგირი
 - ◆ სოფ ჭრებალოს სანიაღვრე არხები
 - ◆ სოფ ქვედა ჟოშხის წყალსადენის ქსელი
 - ◆ სოფ ქვედა ჟოშხა,ზედა ჟოშხა,გენდუშის ცენტრალური და საუბნო გზები
 - ◆ სოფ ბაჯის საუბნო და სასოფლო გზები
 - ◆ სოფ ქვედა შავრის საუბნო და სასოფლო გზები
 - ◆ სოფ ღასიშის საუბნო გზები
 - ◆ სოფ პატარაონი-ტბეთი-ცახის საავტომობილო გზა
 - ◆ სოფ პატარაონის საუბნო გზა
 - ◆ სოფ ბარეულში ღელეზე გადასასვლელი ხიდი
 - ◆ სოფ ბარეულის სასოფლო და საუბნო გზები
 - ◆ სოფ გორისუბნის სასოფლო და საუბნო გზები
 - ◆ სოფ პირველი ტოლის სასოფლო და საუბნო გზები
 - ◆ სოფ მეორე ტოლის სასოფლო და საუბნო გზები
 - ◆ სოფ ქვედა ღვარდის მისასვლელი გზა
 - ◆ სოფ ზედა ღვარდის მისასვლელი გზა
 - ◆ სოფ ღვიარა გოგოლათის დამაკავშირებელი გზა
 - ◆ სოფ გოგოლათი ცახის დამაკავშირებელი გზა
 - ◆ მისამართის დასახლის სასახლე

სტიქიუს ობიექტები

- ◆ სოფ ქვიშარი ჭყვიში ზედა ჭყვიშის სასოფლო გზა
 - ◆ სოფ ქვიშარი ჭყვიშის და ზედა ჭყვიშის საუბნო გზები

- ◆ სოფ ჭვევიში ქვიშარის წყალსადენის ქსელი
 - ◆ ლაშილელის ხიდის ბურჯის დამცავი გაბიონი
 - ◆ განი გზის და ფრუიძეების ხიდ ბოგირი
 - ◆ ჩარკვიანების ეზოს მიმდებარედ სანიღვრე არხი
 - ◆ სოფ გენდუშმი სავარგულებში გასასვლელი ხიდ-ბოგირი
 - ◆ სოფ ჭრებალოს სანიაღვრე არხები
 - ◆ სოფ ქვედა უოშხის წყალსადენის ქსელი
 - ◆ სოფ ქვედა უოშხა,ზედა უოშხა,გენდუშის ცენტრალური და საუბნო გზები
 - ◆ სოფ ბაჯის საუბნო და სასოფლო გზები
 - ◆ სოფ ქვედა შავრის საუბნო და სასოფლო გზები
 - ◆ სოფ ღასიშის საუბნო გზები
 - ◆ სოფ პატარაონი-ტბეთი-ცახის საავტომობილო გზა
 - ◆ სოფ პატარაონის საუბნო გზა
 - ◆ სოფ ბარეულში ღელეზე გადასასვლელი ხიდი
 - ◆ სოფ ბარეულის სასოფლო და საუბნო გზები
 - ◆ სოფ გორისუბნის სასოფლო და საუბნო გზები
 - ◆ სოფ პირველი ტოლის სასოფლო და საუბნო გზები
 - ◆ სოფ მეორე ტოლის სასოფლო და საუბნო გზები
 - ◆ სოფ ქვედა ღვარდისს მისასვლელი გზა
 - ◆ სოფ ზედა ღვარდისს მისასვლელი გზა
 - ◆ სოფ ღვიარა გოგოლათის დამაკავსირებელი გზა
 - ◆ სოფ გოგოლათი ცახის დამაკავშირებელი გზა
 - ◆ მეტონიძეების უბანში სანიღვრე არხი
 - ◆ მდ შარეულას ხიდის რეაბილიტაცია
 - ◆ სოფ ბუგეულში ნაპირსამაგრი

სოციალური პროექტები

- ◆ დაფინასდა-68 ახალშობილის ოჯახი.
 - ◆ დაფინასდა-95 მრავალშვილიანი ოჯახი.
 - ◆ დაფინასდა-45 მარჩენალდაკარგული ოჯახი.
 - ◆ დაფინასდა-11 შეზღუდული შესაძლებლობის 18 წლამდე ასაკის ბენეფიციარი.
 - ◆ დაფინასდა-6 დედ-მამით ობოლი ბავშვი.
 - ◆ დაფინასდა- 5 გარდაცვლილი ომის ვეტერანთა ოჯახები.
 - ◆ დაფინასდა-14 ომის ვეტერანი (მეორე მსოფლიო ომი).
 - ◆ დაფინასდა-საარდგომოდ 89 და საახალწლოდ 110 ოჯახს მიეცათ სასაჩქრე სასურსათო პაკეტები.
 - ◆ 210 სოციალურად დაუცველ ოჯახს ერიცხებოდა 5 ლარიანი შეღავათი ელექტრო ენერგიაზე.
 - ◆ საშეშე მერქნით დაკმაყოფილდა სოციალურად დაუცველი 310 ოჯახი.
 - ◆ ხანძრისგან დაზარალებული 5 ოჯახი მუნიციპალიტეტისგან თითოეული დაფინანსდა 7000 ლარით.
 - ◆ დაფინანსდა-81 ბენეფიციარის სამედიცინო მომსახურეობა.
 - ◆ დაფინასდა-17 ოჯახი რომელთა სახლებიც დაზიანებული და საცხოვრებლად უვარესია.
მასალა მოგვაწოდა
ამბობლაურის მუნიციპალიტეტისა

მასალა ორგვანოდა აეჩროლაურის მუნიციპალიტეტის



ვასილ ლოზანიძე „ბრივის“ ოფიციალური წევრი გახდა ნებრი გახდა

რაჭულ ფესვებზე, ჯიშისა და ჯილაგზე დანამყენებული ახალგაზრდა ჭაბუკი ვასილ ლობჟანიძე ერის სიამაყე და გაცისკროვნებაა. მან სახელმოვან რაგბისთა შორის ბრნეინვალების კვარცხლბეკზე ასვლა შეძლო, ახლახანს იგი ტოპ 14-ის ერთ-ერთი ლიდერის „ბრივის“ ოფიციალური წევრი გახდა.

ამრიგად, , საფრანგეთის პირველი ელიტარული დივიზიონში ქართული ლეგიონი ერთი მოთამაშით გაიზარდა და რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ის შერკინების პირველხაზელი კი არა, ნახევარდაცვის მოთამაშია. მთლიანობაში, თითებზე ჩამოსათვლელი არიან უკანა ხაზის მოთამაშები, რომელთაც ამ დონეზე უთამაშიათ, 9 ნომერი კი, არათუ პირველ, მეორე ელიტარულ ლიგაშიც არ გვყოლია.

ესაა ლოგიკური შედეგი იმ პროგრესისა, რომელიც ლობჟანიძემ ბოლო 1 წლის განმავლობაში განიცადა. ის ეროვნულ ნაკრებში 2015 წლის დასაწყისში გამოჩნდა და ერთა თასის ექვსივე შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, მერე 20-წლამდელთა გუნდთან ერთად მსოფლიო თასის „ალაფის“ მოგებაში უდიდესი წვლილი შეიტანა, 18 წლისა და 340 დღისას კი, დებიუტი ჰქონდა მსოფლიო თასზე და გახდა ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშე, რომელმაც ამ ტურნირში ითამაშა.

მაგრამ მსოფლიო თასზე მისი თამაშისას მხოლოდ დებიუტზე საუბარი არ არის. ის იყო წარმატებული გუნდის, „ბორჯდალოსნების“ ძირითადი 9 ნომერი და ოთხივე მატჩში მიიღო მონაწილეობა - ტონგასთან, არგენტინასთან და ნამიბიასთან სასტარტო შემადგენლობაში იყო, ხოლო მსოფლიოს ჩემპიონ

ახალ ზელანდიასთან შეცვლაზე ითამაშა. ლობჟანიძე მოხვდა მსოფლიო თასის საუკეთესო ახალგაზრდა მორაგბეთა ნომინაციაში, სამ საუკეთესო მორაგბეს შორის და ფაქტობრივად, ოქტომბერშივე გადაწყდა, რომ კარიერას „ბრივში“ გააგრძელებდა, მაგრამ ამ დრომდე მშობლიურ კლუბში, თბილისის „არმაზში“ თამაშობდა და ძალები მგეზავადაც მოსინჯა.

ახლა ახალგაზრდა ქართველი, რომლის ანგარიშზეც უკვე 10 სანაკრებო კეპია, ოფიციალურად გახდა „ბრივის“ წევრი, რომელთანაც 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა და შეუერთდა ამ გუნდის სამ ქართველ ლეგიონერს - კარლენ ასიეშვილს, გიორგი ჟლენტს და გოდერძი შველიძეს. ლობჟანიძეს კლუბთან „ესპუარების“ კონტრაქტია აქვს გაფორმებული, მაგრამ ეს მას პირველ გუნდში თამაშში ხელს არ შეუშლის.





ნაზდენ მაისურაშვილი

ორი წელი გავიდა ჩვენო ძვირფასო მეგობარო, ბატონო ვარდენრაცვენთანა აღარხარ. ძნელი ყოფილა ასეთია ახლობელი ადამიანის დაკარგვა. შენი სახელი დაუვინყარია ჩვენთვის. შენ ეს დაიმსახურე დიდი ადამიანობით, კეთილი გულით, შენ იყავი სოფლის, რაიონის კოლონიტი რჩეული ადამიანი. იყავი დიდი სპეციალისტი „ვეტერინარი ექიმი“, ნლების განმავლობაში მუშაობდით აფენის ზონის ვეტერინალური სამსახურის უფროსად, გვერდში ედექი იქ მაცხოვერებელ სოფლის მოსახლეობას. შენთან მოსული ადამიანი უკმაყოფილოდ არასოდეს დაგიტოვებია, ეკონომიკურად გაჭირვებულებს წამალს შეღავათიან ფასებში აძლევდი, ზოგიერთს უფასოდაც კი, ყველა გაჭირვებულს მხარში უდექი.



ჩვენო გამორჩეულო საყვარელო მეგობარო, ვარდენ, შენი ოჯახი, მეგობრები, ახლო ნათესავები, თანასოფლელები შენზედ ლოცულობენ, გლოცავენ, რომ თქვენ სასუფეველში დაიმკვიდროთ ადგილი დარწმუნებული იყვით, რომ თქვენი სახელი თაობიდან თაობას გადაეცემა. თქვენისახელიდაუვინყარი იქნება. მშვიდადგანისვენეთ, თბილი და რბილი ყოფილიყოს თქვენთვის მშობლიური სოფლის-გიორგეთის მიწა, რომელიც შენ აგრერიგად გიყვარდა.

შენი რჯახი, მეგობრები:
რაზდენ ლოგზანიძე, ანგი მეტრეველი, გიორგი მაისურაძე


პირველ მსოფლიო ომში 1916 წელს რუსეთის მეფის არმიაში ბევრი ქართველი ახალგაზრდა იქნა განვეული. მათ შორის იყო მინა მაისურაძე, რომელიც უფროსი მისი, ექვთიმეს ნაცვლად წავიდა ფრონტზე. მინამ უთხრა ძმას შენ ცოლშვილიანი ხარ, ოჯახს მიხედე და შენს მაგივრად მე წავალ იმშიო. ოცოდე, რომ შენ არასდროს შეგარცხვენო. მართლაც ასე მოხდა, მინა მაისურაძე სულ მალე დაეუფლა სამხედრო ხელოვნებას, ჩამოყალიბდა როგორც უშიშარი მებრძოლი, სარდლობა სადაც კი მას გააგზავნიდა იქ გამარჯვება გარდაუვალი იყო, ამიტომ სულ მალე მინას ანიჭებენ „უნტერ უმცროსის წოდებას“ და ასეულის უფროსად აწინაურებენ, პირველი ბრძოლები მინას თურქებთან მოუხდა, მინას ასეულის გამოჩენაზე მტერი საგონებელში ვარდებოდა და უკან იხევდა. იმ დროისათვის მინა მაისურაძის ასეულის წარმატებაზე ქართულ პრესაში ვრცელი წერილები იძეჭდებოდა. მისი გმირობით არა მატო რაჭველები, არამედ მთელი საქართველო ამაყობდა. იმში გამოჩენილი გმირობისთვის და მამაცობისთვის მთავრობამ ბატონი მინა ოთხჯერ „გიორგიევსკის ორდენით“ დაჯილდოვა, რაც იმ დროისათვის იშვიათი შემთხვევა იყო. ომის დამთავრების შემდეგ ორდენებით მკერდდამშვენებული, იარაღის ტარების უფლებით, გამარჯვებული ბრუნდება საქართველოში.

მინა მაისურაძე 1919 წელს ცხოვრებას რაჭველების მიერ ახლად დაარსებულ სოფ. გიორგეთში (ლაგოდების რაიონი) იწყებს, სადაც ცოლად შეირთო ჩიკვილაძის ქალბატონი და მასთან ერთად შექმნა შესანიშნავი ოჯახი, სამშობლოს აღუზარდეს ოთხი შვილი — ორი ქალი და ორი ვაჟი.

ჩემს ახალგაზრდობაში მახსოვს ბატონი მინა ლამაზად ჩაცმული ჩინმედლებით მკერდდამშვენებული, ვალმოხდილი ადამიანი სამშობლოს წინაშე, ბრწყინვალე მოხუცი, როგორ ლამაზად ესაუბრებოდა როგორც ხანდაზმულებს, ისე ახალგაზრდებს, რომლებთან მეგობრობა ძალიან მოსწონდა. ბოლო წლებში სოფელში მინა საკოლმეურნეო შრომაში მონაწილეობდა, სადაც უმუშავია ყველგან გამორჩეული და წარუშლელი კვალი დატოვა.

მინას შვილებმა, შვილიშვილებმა, შვილთაშვილებმა, მისმა დიდმა მონაგარმა იციან ვისი შთამომავლები არიან, საიდან მოდიან, ამიტომ წინაპართა სახელს უფრთხილდებიან. მინას უფროსი ვაჟი კოლია, ნათელში იყოს მისი სული, სავაჭრო სისტემაში მუშაობდა, წესიერი, პატიოსანი ადამიანი იყო, კარგი მუშაობისათვის არაერთხელ იქნა დაჯილდოვებული. მრავალი ქებისიგელით, აგრეთვე სამომხმარებლო კოოპერაციის წარჩინებული მუშაკის სამკერდე ნიშნით, უმცროსი ვაჟი-ტარიელი წლების განმავლობაში საქართველოში უდიდესი სავაჭრო ორგანიზაციის „ვაზის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო. მინას შვილიშვილი ავთანდილი მინათმომწყობია, მისი მეუღლე, სკოლის დირექტორი, შვილიშვილი უჩა კი საქართველოს და ევროპის არაერთგზის ჩემპიონია ხელ-ბურთში.

იხარონ და გამრავლდნენ სახელოვანი კაცის მინა მაისურაძის შთამომავალები.



მინა
მაისურაძე

რაჭველები № 2

ოსტატი

ძველი ლენგი ქვითი

ბუდუ რეხვიაშვილი ოქროს
ხელებიანი ხელოვანი ადამიანია.
ხეზე კვეთა მისი საუვარელი
საჭმეა. აკეთებს უველაფერს, რაც
ვიზუალურად მოეწონება. ხეს
უველაფერი უხდებაო, ამბობს. მის
მიერ გაკეთებულ ნივთებს არაფერი
შეედრება. ბუდუს ხელით ნაკვეთ
ნარდს გადალი არა აქვს. თავის
პირველ ნამუშევარს რომ იხსენებს,
ელიმება, თუმცა შრომამ და დრომ
გამოკვეთა ის, თუ რა და როგორ
უნდა ეკეთებინა.
განსაკუთრებულ მნიშვნელობას
ანიჭებს ფერებს, ხეებს შორის
კონტრასტს, რომ გამოსახულება
მყაფიოდ გამოჩნდეს. თითო ნივთის
დასამზადებლად დახლოებით
ერთი თვე ან ცოტა მეტი სჭირდება.
ბუდუ რეხვიაშვილი ხის
მესაიდუმლეა, იცის რა მასალას,
რა ფერი და ფორმა უნდა მისცეს.
ბუდუ ხეზე კვეთის საუკეთესო
დიდოსტატია.



ნოვემბრი
დეკემბერის
საზოგადო
ცაჟარი
ჭავჭალია



2016

იანვარი

თე	სა	თი	ო	პი	ვე	შპ	ია
1	2	3					
4	5	6	7	8	9	10	
11	12	13	14	15	16	17	
18	19	20	21	22	23	24	
25	26	27	28	29	30	31	

თებერვალი

თე	სა	თი	ო	პი	ვე	შპ	ია
1	2	3	4	5	6	7	
8	9	10	11	12	13	14	
15	16	17	18	19	20	21	
22	23	24	25	26	27	28	
29							

მარტი

თე	სა	თი	ო	პი	ვე	შპ	ია
1	2	3	4	5	6	7	
8	9	10	11	12	13	14	
15	16	17	18	19	20	21	
21	22	23	24	25	26	27	
28	29	30	31				

აპრილი

თე	სა	თი	ო	პი	ვე	შპ	ია
1	2	3	4	5	6	7	
8	9	10	11	12	13	14	
15	16	17	18	19	20	21	
21	22	23	24	25	26	27	
28	29	30	31				

მაისი

თე	სა	თი	ო	პი	ვე	შპ	ია
1	2	3	4	5	6	7	
9	10	11	12	13	14	15	
16	17	18	19	20	21	22	
23	24	25	26	27	28	29	
30	31						

ივნისი

თე	სა	თი	ო	პი	ვე	შპ	ია
1	2	3	4	5	6	7	
8	9	10	11	12	13	14	
15	16	17	18	19	20	21	
20	21	22	23	24	25	26	
27	28	29	30				

ივნისი

თე	სა	თი	ო	პი	ვე	შპ	ია
1	2	3	4	5	6	7	
8	9	10	11	12	13	14	
15	16	17	18	19	20	21	
22	23	24	25	26	27	28	
29	30						

ივნისი

თე	სა	თი	ო	პი	ვე	შპ	ია
1	2	3	4	5	6	7	
8	9	10	11	12	13	14	
15	16	17	18	19	20	21	
20	21	22	23	24	25	26	
27	28	29	30				

ივნისი

თე	სა	თი	ო	პი	ვე	შპ	ია
1	2	3	4	5	6	7	
6	7	8	9	10	11	12	
13	14	15	16	17	18	19	
20	21	22	23	24	25	26	
27	28	29	30				

ივნისი

თე	სა	თი	ო	პი	ვე	შპ	ია
1	2	3	4	5	6	7	
8	9	10	11	12	13	14	
15	16	17	18	19	20	21	
22	23	24	25	26	27	28	
29	30						

ივნისი

თე	სა	თი	ო	პი	ვე	შპ	ია
1	2	3	4	5	6	7	
8	9	10	11	12	13	14	
15	16	17	18	19	20	21	
22	23	24	25	26	27	28	
29	30						

ივნისი

თე	სა	თი	ო	პი	ვე	შპ	ია
1	2	3	4	5	6	7	
8	9	10	11	12	13	14	
15	16	17	18	19	20	21	
20	21	22	23	24	25	26	
27	28	29	30				